



4

• СОВЕТСКОЕ ИСКУССТВО • SOVIET ART • SOWJETKUNST

ՀԱՅԿՄՈՂ

ԼՂԸՄՅԵՂԻ

1965



საქართველო საერთაშორისო

თეატრი
მუსიკა
მხატვრობა
ქინო
კრიტიკა
ქორობა

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს
შოველთაგანი ქარხანი

4

1965



ი. ვეფხვაძე

ლენინი ოქტომბერში

მთავარი რედაქტორი — ოთარ ეგაძე

სარედაქციო კოლეგია: შალვა ამირანაშვილი, გელა ბანძელაძე, კარლო გოგოძე, ალექსი მაჭავარიანი ნათელა ურუშაძე, გრიგოლ ფოფხაძე, დიმიტრი ჯანელიძე, ვასო წულუკიძე.



ბ. დოლობერიძე

ლენინის პორტრეტი

ცხოვრებითა და მოღვაწეობით. მისი გენიალური შრომებზე-
ტელობით. მიზანსწრაფილი მოქმედებით, მისი მოძღვრების
კეთილშობილებით, რამაც ბოლო მოუღო მსოფლიოს ერთ
მეექვსედზე ადამიანის ადამიანზე ბატონობას და ხელი შეუწე-
ყო დამონებული კოლონიური, ნახევრად კოლონიური და კლა-
სობრივი ჩაგვრით გაწამებული აზიის, აფრიკის, ლათინური
ამერიკისა და ევროპის მრავალი ქვეყნის განთავისუფლებას
ფეოდალური და ბურჟუაზიული ჩაგვრისაგან, სოციალური და
ნაციონალური უფლებებისაგან.

ლენინის ცხოვრება მთელი მსოფლიოს გონივრული და სა-
მართლიანი ჩანათარების მიზანს ემსახურებოდა და სწორედ
ამას უმაღლეს მას კაცობრიობა. სადაც არ უნდა იყოს, ქვეყნის
რომელ კუთხეშიც, ლენინის სახელი ყველაზე ახლობელი და
მშობლიურია. არ არის სხვა უფრო საყვარელი, ვიდრე ლენინი,
არ არის სხვა უფრო პროგრესული, ვიდრე მსოფლიო პროლეტა-
რიატის ბელადი დიდი ლენინი, რომელმაც შექმნა რა მეფის
რუსეთის იმპერიაში ჩაგვრით განაწამები ხალხების საუკე-
თესო წარმომადგენლების, მუშებისა და გლეხების მოწინავე
მებრძოლებისაგან შემდგარი დიადი კომუნისტური პარტია,
მსოფლიოში პირველია გაამარჯვებინა სოციალისტურ რეო-
ლუციას, პირველია ჩაუყარა საძირკველი მუშებისა და დარბი
გლეხების სახელმწიფოს, პირველია შექმნა საბჭოთა სოცია-
ლისტური სისტემა, რომლის მაგალითზე და მხარდაჭერითაც
ასე გაძლიერდა რევოლუციური მოძრაობა, ნაციონალურ-გან-
მათავისუფლებელი ბრძოლა.

ლენინმა ცხოველი კვალი დააჩნია ძველი და ახალი თაო-
ბის ადამიანების ცხოვრებას. იგი ხალხს ახსოვს, რადგან ხალ-
ხი მისი სახელით იბრძვის. შრომობს და ცხოვრობს. ლენინის
მოძღვრებამ ადამიანთა ადამიანები ერთი დიდი მიზნისათვის,
რასაც ახლა მსოფლიოს ყველა კონტინენტის მოსახლე პრაქ-
ტიკულად ახორციელებს. ლენინმა აღმართა რევოლუციური
თავისუფლების დროშა. რომელიც ახლა ასე მაღლა უჭირავთ
საბჭოთა კავშირის ხალხებს, სოციალისტური ბანაის ერებს,
იმთ. ვინც ჯსხ უკავიათ და საფუძვლს უყარა იმ დიადი
კომუნისტური საზოგადოების საბოლოო გამარჯვებას. პროგ-
რესისა და სამართლიანობის დამკვიდრებას მსოფლიოს ყველა
კუთხეში, ყოველი ადამიანის სულიერ და ფიზიკურ ამაღ-
ლებას.

რით არის ასე უძლეველი ლენინური მოძღვრება? რით
არის ასე პოპულარული მთელს მსოფლიოში? რატომ შეიყვარ-
რა, შეისისხლნორცა და თავისი ბრძოლის დროშად გაიხდა
იგი მსოფლიოს პროლეტარიატმა, ოარიზმა გლეხობამ? რატომ
შეიძულა იგი ჩაინი პლანეტის რაქციულმა სამყარომ? რატომ
ამოუოყვამა მას ბრძოლა მონობისა და ჩაგვრის მოსურნე იმ-
პერიალიზმზე?

ლენინური მოძღვრება იმით არის უძლეველი, რომ იგი
არის მილიონიანი მშრომელი მასების მოძღვრება, მუშათა
ქალსისა და გლეხობის მიზნებისა და მისწრაფებების გამომ-
ხატავლი, მათი შემოქმედებითი შესაძლებლობების გამომაგ-
ლინებელი. ლენინიზმი იმიტომ არის ასე პოპულარული
მთელს მსოფლიოში. რომ იგი თვით ხალხის მიერაა შემოქმე-
ბული და ხალხისავე ინტერესებისაგან ასხმული. ხალხმა იმი-
ტომ შეიყვარა, შეისისხლნორცა და საკუთარი ბრძოლის დრო-
შად გაიხდა იგი. რომ ლენინიზმი პროლოკარიატისა და გლე-
ხობის წიაღის წარმოქმნა. იმიტომ შეიძულეს ლენინიზმი
ჩაინი პლანეტის მტროლმა ძალებმა. რომ იგი მათ ბოროტ
ზრანაბებსა და მოქმედებას ბოლოს უღობს, იმპერიალიზმისა
თა აბოლნალიზმის ბატონობას საფუძვლს აცლის, ანარ-
ცხებს.

ლენინიზმმა გაიმარჯვა. ლენინის სახელმა ადამიანებს
თავისუფლება მოუტანა და შემოქმედებითი ძალები უმრავლა.
კაცობრიობა არავისგან არ არის ისე დავალებული, როგორც

დიადი ცხოვრება



ან თავისი დიდი სიკეთეზე ადამიანებს მიუძღვნა,
თავისი ცხოვრება ბოროტებისაგან ბრძოლას შეაღია,
სიკეთის გამარჯვებას მოაწოდოა
ასეთი იყო ვლადიმერ ილიას ძე ლენინი, რომ-
ლის ცხოვრება სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათ-
ვის ბრძოლის ბრწყინვალე მაგალითია. მისი მოღვაწეობა
მსოფლიოში მშვიდობისა და კეთილდღეობის განმტკიცების
დაუწყვეტარი ნიშნულია.
საბჭოთა ხალხი, ისე, როგორც მთელი მსოფლიოს პროგ-
რესული ადამიანები, უადრესად დაეაღებულნი არიან ლენინის



ლენინი, ვინც ხორცი შესას მარქსიზმის დიდი ჩანაფიქრს, ვინც განავითარა მეცნიერული სოციალიზმის დიდი მოძღვრება ახალ ვითარებაში, იმპერიალიზმის ეპოქაში, ვინც დაუბაसा პროლეტარიატს, მშრომელ მასებს ბრძოლის გზები ახალი ცხოვრების შესაქმნელად, დიდი კომუნისტური საზოგადოების არსებობა შეიძინა და, ყველა ეპოქებისათვის და ყველა კონტინენტისათვის არაგაბინილი, ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობით განხტკიცებული წყობილების გასაფორმებლად.

საბჭოთა ხალხი არასოდეს დაივიწყებს ლენინის ამავს, მის მიღვაწეობას, მის ბრძოლას საკაცობრიო იდეალების სასწი-მოდ, მოსოფლის ჩაგრული ადამიანების მიძიდ ცხოვრების შესაცვლელად; სოციალისტური სახელმწიფოების ძლიერი ბანაკი, რომლის განსამტკიცებლადაც ლენინი და ლენინური პარტია ყოველ დონეს ხმარობდა და ახლაც თავდადებულ ორგანიზატორულ და იდეურ ბრძოლას აწარმოებს, საქმით უკნავყოფიერ ლენინის დიდი მოძღვრების, პროგრესული ხალხების მიზნისა და მისწრაფებათა ხორცშესხმას.

ქართველი ხალხი, ისე, როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, ახალი შემოქმედებითი ძალებით შევება დიდი ლენინის დაბადების სასწიბო დას, როცა მოსოფლის მშრომელ მასებს მოველინა თავისი მსხნელი, დღეს, როცა ამოქმედდა საკაცობრიო იდეალების დიდი დამცველი ვლადიმერ ულიანოვის მარად ცოცხალი გული.

ამ ისტორიულ დღეს ყოველი ადამიანის ფიქრი და აზრი დიდი ლენინთან არის, ისე, როგორც ლენინის მოძღვრების ყოველ ფურცელს თავისი მოქმედების სიბრძნე იხდის ყველა, ვისაც აზარებს შრომა, ვისაც აწუხებს მტრობა, ვისაც აღელვებს შემწიერება, ვისაც სწყურია მშვიდობა.

ამ დღეს კიდევ ერთხელ მოწმდება სოციალისტური რევოლუციის მონაპოვარი, კიდევ მარვალჯერ მრავალბნა სოციალისტური შრომის მონაგარი, მაღალბნა ჩვენი წარმატებით, ღრმავდება ჩვენი ინტერნაციონალური ძმობის სიყვარული, მტკიცდება ჩვენი სახელმწიფოს და ყველა სოციალისტური ქვეყნების ძმური კავშირი.

ლენინის დაბადების დღე იქცა იმ მიჯნად, რომლიდანაც უფრო კარად ჩანს ის, რაც გაკეთდა ლენინის რჩევითა და მოწოდებით, ლენინის გმირული შრომითა და შორსმჭვრეტელობით, ლენინური კურსის მტკიცედ გატარებით, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშის მაღლა აწვივით, ოქტომბრის მონაპოვრის დაცვით.

წლის, ისე, როგორც წარსულში სასწიბო ვითარებამ აღინიშნა ლენინის დაბადების თარიღი. ფაბრიკებსა და ქარხნებში, სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, საკოლმეურნეო მიწდვრებსა და სამეცნიერო ლაბორატორიებში ყველანა ისმობა კომუნისმის მშენებელთა მუხრებზე სიტყვა. ლენინი ჩვენთან არის, ლენინის მიერ ნაწევრბ უსა ნათელი მომალისკენ მიყვარათ — აი, დიდი და პატარა ადამიანის, მოხუცისა თუ ახალგაზრდის, ქალისა თუ კაცის გულიდან მოდინილი სიტყვები.

ლენინის სახელით იღწვის და იბრძვის ქართველი ხალხი. ლენინის სახელს უკავშირებს იგი ყოველ თავის წარმატებას, ყველა თავის მიღწევას, რადგან მხოლოდ ლენინური მოძღვრების ბორცმსხმით არის შესაძლებელი ნახევარი საუკუნის წინ ლენინისა და ლენინელთა მიერ განმარჯვებით დაწყებული სოციალისტური რევოლუციის მონაპოვრის შედგომი განხტკიცება, ოქტომბრის მოწოდების საუკუნებში გატანა.

ახლა კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა ეძლევა ამ ისტორიულ თარიღს, რადგან მთელი ჩვენი ხალხი დიდის ენთუზიამით ენაზღვება ლენინის დაბადების ასი წლისთავისა და დიდი ოქტომბრის რევოლუციის ორმოცდაათი წლისთავის შესანვრებას. დრო თითქოს საქმარისა იმისათვის, რომ ყველა ორგანიზაცია მომზადებული შეხდეს დიდ სასწიბო თარი-

ღებს, მაგრამ ამ ისტორიული მოვლენების უმაღლესი მნიშვნელობა გვიკარანხებს არ დაკვარათ ანტიური დღე პარტის მიერ ნაკოთაოვევი ღონისძიების გასატკოვრებად.

რამე გამოითავდება ეს ღონისძიებები?

იმაში, რომ კიდევ უფრო ვაძლიერო ჩვენი შრომითი ენთუზიამი, ვინაშე მთელი სოციალისტური დღეობით, გაღრმავებული ჩვენი ინტელექტუალური და შემოქმედებითი შესაძლებლობანი. სოციალის დაბადების 100 წლისთავი და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცდაათი წლისთავი უნდა გადაეცეს ჩვენი ხალხის ახალი, ჯერ გამოუვლენი ძალების უმრტკ წყაროდ.

ეს ასეც ექნება, რადგან ლენინი და რევოლუცია, ლენინი და კომუნისტური პარტია ყოველთვის გზის გასაკვლევ მზედ უნათებს და ათბობს ძველი ცხოვრების დამანგრეველ, ახალი საზოგადოების შემოქმედ საბჭოთა ადამიანებს.

საქართველის მშრომლები უკვე ფართოდ ემზადებიან ამ ორი ისტორიული თარიღის შესანვრებად. რესპუბლიკის შემოქმედებითი ორგანიზაციები ღრმა და მაღალმხატვრული ნიაბით ხვდებიან ამ სასიბრლო თარიღებს.

დღედაღლით თეატრები გახტოვლებით ემზადებიან ისეთი სპექტაკლების შესაქმნელად, რომელშიც ასახული იქნება ლენინისა და კომუნისტური პარტის მოძღვრების დიდი სული, ნაწევრები იქნება სოციალისტური საზოგადოების მაღალი მორალური ნორმები, მოთხრობილი იქნება საბჭოთა საქართველის ადამიანების გმირულ წარსულზე და აწყვებ, განჭვრეტლბი იქნება მისი ბედნიერი მომავალი.

ამ მიზნის განსახორციელებლად თეატრების ხელმძღვანელობამ და საქართველოს მწარელთა კავშირმა ახლავ უნდა იზრუნონ ახალი პიესების შესაქმნელად, ისეთი დრამატურგიული ლიტერატურის შესაზადებლად, რომელზე დაყრდნობით შესაძლებელი გახდება ეპოქისა და დროის ხმის ამწყობი დიდი სპექტაკლების შექმნა.

სამწუხაროდ, ბევრი რამ ამ მხრივ ჯერ კიდევ გადასატკეულია. ახლავ უნდა ვიზრუნოთ იმათ შემოქმერბაზე თეატრების გაიზუმე, ვინც საამისოდ მზად არიან, ვისაც ამის შემოქმედებითი ძალოზე გააჩნია, ვინც მოწყურებულია დაძაბულად იმუშაოს მაღალიმწიფო, საზოგადოებრივად ჟღერადი სცენური ტილოების შესაქმნელად.

მხოლოდ დიდი გრძნობებითა და ღრმა აზრებით ასეც პიესებს შეუძლია გაუღოს ისტორიული თარიღების მოთხოვნებს. ზოგიერთი თეატრის ხელმძღვანელს დასტორდება საფუძლებლიანად გადახედვის თავის მდვიარ, უსისხლბორცი გემების, რომლებშიც უმთავრესი ადგილი უჭირავს ფერდაკარგულ, მოწყურუნ, ან უკბილო ხუმრობებით შევსებულ პიესებს. რესპუბლიკის თეატრების ყველა სტენვა ერთდროულად უნდა აღვიხოს ისეთი სპექტაკლებით, რომელზეც გააჩნებენ როგორც დაყურებლებს, ისე თვით თეატრის შემოქმედებითი კოლექტიტს.

ამ მხრივ მაგალიტის მომცემნი უნდა იყვნენ მარჯანიშვილისა და რუსთაველის სახელობის თეატრები. დრო არც იმდენად ბევრია, რომ რესპუბლიკის ორივე თეატრის მხატვრული ხელმძღვანელობას დიდი და დაძაბული შრომის გაწევა არ სჭირდებოდეთ საუბოლო სპექტაკლების შესაქმნელად. ისიც უნდა გათვალისწინოთ, რომ, შესაძლოა, საქართველოს რთმელმოდ თეატრის მოუხდეს მოსკოვში საგასტროლოდ წასვლა. ეს მისია ან ახალ დიდ ამოცანებს აკისრებს თეატრებს, კულტურის სამინისტროს, რესპუბლიკის შემოქმედებითი კავშირებს.

მნიშვნელოვანი გარჯა დასტკრება ფალაიშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის კოლექტიტს. ცნობილია, თუ რა დიდი მხატვრული რეპუტაციით სარგებლობს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი მიოვს კავშირში, რა ბევრსა და მნიშვნელოვანს მოითხოვს მისებ, საყოველთაოდ აღიარებული ქართველი ვოკალისტებისაგან, ჩვენი რეს-

ბუბლიკის საბალეტო დასისაგან. ამოცანა იმაშია, რომ საოპერო თეატრმა უჩვენოს ახალი ნაწარმოებები, რომლებიც საკავშირო რესუხსის დონეზე იქნება. სამისო პოტენციური შესაძლებლობა თეატრს გააჩნია. თიარ თაქთაქიშვილის თქერის „მინდიას“ დადგმა ამისი ნათელი დადასტურებია. წარნატება, რომელიც ხედა ამ თეატრს, საფუძველს გვაძლევს გარკვეული გარანტიით ვიზუშით სხვა ასეთი საოპერო ტილოეის შესაძნელოად.

ბეერის გაქთება დასკირდება საბალეტო დასს. ახლავე უნდა წარმართოს მათი თოსნობა, ვისაც სურს დაწეროს მუსიკა ახალი ბალეტებისათვის. ჯერჯერობით ბალეტის შემქმნელთა რიცხვი მხოლოდ კომპოზიტორი თიარ გორდელია. უნდა ვიფიქროთ, რომ მის სურვილს ხორცი შევსების, თეატრი განახორციელოს სასურველ და საჭირო ქორეოგრაფიულ დადგმას, რომელიც ქართული ბალეტის მაღალ ტრადიციას გაჰყვება.

მნიშვნელოვანი მუშაობის გაწევა შეუძლიათ დედაქალაქის სხვა თეატრებს — გრიბოლევის, მოზარდთა და მუსკომედიის კოლექტივებს. გრიბოლეველთა შემოქმედებითი ტრადიცია ყველა იმედს იძლევა, რომ ისინი ამ ახალ ამოცანასაც ღირსეულად გადაჭრიან. საჭიროა მხოლოდ შევასწნოთ მათ, რომ ნაყურებელი მთლის ისეთი ქართული სპექტაკლების ჩვენებას არაჭარბეული მაყურებლისათვის, რაც კიდევ უფრო განამტკიცებს ჩვენი ხალხების სულიერ თანამშრომლობას. თეატრი უნდა გადაიქცეს რუსული კულტურის შემომტანად საქართველოში და ამ ძალითვე ქართული ხელოვნების საუკეთესო ნიმუშების გამაგრელებლად რუსეთში. ეს მეტად მნიშვნელოვანი მისიაა და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ისეთი ძლიერი და ჭეშმარიტი კოლექტივი, როგორიც გრიბოლეველთა დასია, ამ საპატიო დავალებას წარმატებით გაართმევს თავს შემდგომშიაც.

სრულად ახალი, აქამდე არნახული პირობები შეექმნა მუსიკალური თეატრის კოლექტივს. ეს ავალებს მას კვლავაც ჩვენი თეატრების მოწინავეთა რიგში დარჩეს, ახალი მუსიკალური სპექტაკლებით გაამდიდროს თავისი რეპერტუარი.

ბეერი საინტერესოს გააქთება მოუწევს კომპოზიტორთა კავშირის ძლიერსა და ნაყოფიერად მოღვაწე წევრებს. „მუსიკალური განაფხულის“ ჩატარების შემდეგ, რომელსაც დიდი მხატვრული მნიშვნელობა აქვს არა მარტო ჩვენი რესპუბლიკის, არამედ მთელი საბჭოთა მუსიკალური საზოგადოებისათ-

ვის, ქართველი მუსიკოსები მთლიანად უნდა შეუდგნენ ყვეტომრის რევილუციის 50 წლისთავისა და ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მომზადებას.

რესპუბლიკის მხატვრებმა საგრძნობლად გააცხოველეს შემოქმედებითი მუშაობა. უკვე შემუშავებულია ღონისძიებები აღიზნულ თარიღებში მხატვართა მონაწილეობის გასაძლიერებლად. გადაწვეტილია მოეწიოს საიუბილეო რესპუბლიკური გამოფენები. სამისოდ ახლავე საჭიროა გარკვეული შემოქმედებითი მუშაობის ჩატარება ექვსას წვერიან მხატვართა კოლექტივში, რათა ყოველმა მათგანმა ახლო მონაწილეობა მიიღოს თიანიტი ნაწარმოების გამოსაფენად, ცხოვრების ამსახველი ტილოების შესაქმნელოად.

დიდი მუშაობის გაშლა მოუხდება საქართველოს თეატრალური საზოგადოებასაც. გადაწყვეტილია იმ დროისათვის გამოიქცეს საიუბილეო ალბომი „ქართული თეატრი“, სპეციალური წილწულეულები. მაგრამ მთავარი მაინც სხვაა — ყოველდღიური შემოქმედებითი მუშაობის გაშლა, თეატრალური კოლექტივების შემოქმედებითი ინტენსივობისათვის ხელის შეწყობა. თეატრალური საზოგადოების მთავარი და, უპირველეს ყოვლისა, შემოქმედებითი ამოცანების დაყენება — გადაწყვეტა, დისკუსიების, განხილვების, შემოქმედებითი პლენუმების ჩატარება, საკონსულტაციო ბრიგადების მივლინება და მიმაგრება თეატრებისათვის, რომლებიც პერიფერიის კოლექტივებს რეალურ პრაქტიკულ დახმარებას გაუწევენ. უნდა გაიზარდოს თეატრის საკითხებზე მოხსენებებისა და ლექციების რიცხვი. ამ მხრივ თეატრალური საზოგადოების მუშაობაში გარკვეული ჩამორჩენა შეიმჩნევა, რაც უკვე აღინიშნა თვით საზოგადოების პრეზიდიუმის სხდომაზეც კი.

საქართველოს კინემატოგრაფისტები ჯერ კიდევ ვალში არიან ხალხის წინაშე. თუმცა ბოლო ხანებში შექმნილი ორი კარგი ფილმი იმის იმედს იძლევა, რომ კინოსტრედა „ქართული ფილმი“ სტაბილურად დაადგება აღმავლობის გზას და მოახლოებულ საიუბილეო თარიღებს ახალი, ძლიერი ფილმებით შეხვდება.

საბჭოთა საქართველოს მხატვრული ინტელიგენცია, რომელიც ჩვენი დიადი პარტიის ერთგული მებრძოლი რაზშია, შემდეგმოდც ყველაფერს გააკეთებს, რათა ღირსეულად აღინიშნოს ჩვენს რესპუბლიკაში დიდი ლენინის დაბადების 100 წლისა და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევილუციის 50 წლისთავი.



ადამიანები დიდი ყურადღებით და ინტერესით ეცნობიან ამ გენიალური პიროვნების ცხოვრებასა და რევოლუციურ მოღვაწეობასთან დაკავშირებულ ისტორიულ ადგილებს როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთაც — ლონდონში, პარიზში, პრაღაში, გერმანიაში, ფინეთში... ყველა ქვეყნის მშრომლებს თვალწინ წარმოუდგებათ ლენინის უკვდავი სახე, კეთილშობილური თვისებები და შეზნებარე ცხოვრება ადამიანისა, „რომელზე მეტიც არავის გაუკეთებია კაცობრიობისათვის“ (ანრი ბარბუსი).

მრავალი ექსკურსანტი მიემართება ამ დღეებში გორკაში, სადაც ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სახლ-მუზეუმია. იგი მოსკოვიდან ორმოციოდე კილომეტრითაა დაშორებული...

წინათ გორკა შემამულეებს ეკუთვნოდა. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ყოფილმა მოჯამგირებებმა გორკაში შექმნეს პირველი მუშური კოაფა. შემდეგ აქ საბჭოთა შეურწმობა იყო;

მის ბაზაზე კი შეიქმნა პარტიის მოსკოვის კომიტეტის მუშაკთა დასახელებელი სახლი.

სახლი დგას გორაზე, რომელიც ირგვლივ მყოფ სანახებს გედებრთვლა ბორცვებიანი ველი. საითაც უხდა გაიხედო, ყველგან წიწვბარი, ბაღები და მინდორები. იორცვებზე ლამაზად შეფეხილია სოფლები იამი, სიანიჭო, გორკა, კალითგვა. ბორცვებს შორის კი მიიკლავება წყნარი მდინარე პახრა. სახლი გარშემორტყმულია ძველი დაბურული პარკით. გორკაში შეიძლება გაეგზავროთ ელექტრომატარებლით, შეიძლება ავტობუსითაც. მეფრი ექსკურსანტი ავტობუსს ირჩებს, სურთ ნახონ გზები, რომლითაც უკლია დიდი ბეულად.

და აი ბოლოს, ერთი საათის მგზავრობის შემდეგ, მანქანა ჩერდება სვეტებიან თეთრ სასლთან, რომელიც ნაგზობიდანვე ნაცნობია ყველასათვის.

შესასვლელთან გაერულია მარმარილოს დაფა წარწერით — „ვ. ი. ლენინის სახლ-მუზეუმი“.

მტრის ტყვიით მიყენებულმა ჭრილობამ და განსაკუთრებულმა დაბაბულმა მუშაობამ შეაყვია ლენინის ჯანმრთლობა. 1918 წლის სექტემბერში ექიმებმა მოითხოვეს, რომ ვლადიმერ ილიას ძეს რამდენიმე ხნით სუფთა ჰაერზე დაეცვება, შესთავაზეს გამგზავრებულყო გორკაში.

პირველად ვ. ი. ლენინი ნადეფდა კონსტანტინეს ასულთან ერთად გორკაში 1918 წლის სექტემბერში ჩავიდა, ხოლო 1923 წლის მარტიდან გარდაცვალებამდე მუდმივად იქ ცხოვრობდა.

...სანამ სახლში შეხვიდოდეთ, გაიკლით შესანიშნავ დაბურულ ხეივანს, აქ უყვარდა სვირობა ვლადიმერ ილიას ძეს. ხეივანში ერთ-ერთ სკამზე გაკეთებულია წარწერა: „სკამი, რომელზეც ლენინი ისვენებდა“, აქვია სკამი, რომელზედაც ლენინმა ნადეფდა კონსტანტინეს ასულ კრუსკაიასთან და თავის დასთან — მარია ილიას ასულთან სურათი გადაიღო.

ვლადიმერ ილიას-ძეს განსაკუთრებით უყვარდა სახლის სამხრეთით მოთავსებული აივანი. სახლის მახლობლად, ტბისაკენ მიმავალ დაღმარზე გაშენებულია ხეივანი ნაძვებით, ფიჭვებით, აქვია მრგვალი ფანჩატური, რომელზეც ლენინი დასვენების საათებს ატარებდა. კითხულობდა გაზეთებს, ფანჩატურიდან შესანიშნავად მოჩანს სოფლის ხედები, ფართო მიხედრები...

ვლადიმერ ილიას-ძე პირველ ხანებში დასახლდა არა სვეტებიან სახლში, არამედ პატარა ორსართულიან ფლიგელში. აქ ადრე მემამულის მოსამსახურე ცხოვრობდა. ლენინი აშობდა, რომ ფლიგელის გათბობაზე ნაკლები შეშა დაიხარჯებო, — ქვეყანა მაშინ საბობის ნაკლებობას განიცდიდა.

ფლიგელში ლენინმა თავისი ოჯახისათვის გამოყო სამი პატარა ოთახი. ყველაზე პატარაში, რომლის ფართობი ათ კვადრატულ მეტრს არ აღემატება, თვითონ მოთავსდა. ამ ოთახს ვლადიმერ ილიას-მე საძინებლადც იყენებდა და კა-

ლენინი გორკაში

ფილიპე მახარაძე



ვლადიმერ მაიაკოვსკის ხატვანი გამოთქმა რომ ვისმართო, ლენინი — ყველაზე მიწერილი იმით შორის, ვისაც კი დედამიწაზე ფეხი დაუდგამს.

არ არის დედამიწაზე არც ერთი კოხე, სადაც არ იცნობდნენ, არ კითხულობდნენ, არ უყვარდეთ ლენინი — იქნება ეს მეთვესუთა სოფელი ჩრდილოეთის ფიორდების ნაპირებზე თუ კოხები ტროპიკულ კუნძულ ბალიზე, ბრახილის საძოვრებში თუ ასტურის მალაროები, ალმასის მთები კორეაში და ბამბუკის ტყეები ვიეტნამში...

დედამიწის ხუთსავე კონტინენტზე მის შესახებ ლექსებს ოხსავენ, ლეენიდებს ქმნიან, მისი სახელი ჟღერს ხალხურ თქმულებებში.



ბინტედაც, იგი უზარალოდა მოწყობილი: დგას ხის საწოლი, მის პასოლოდა კი — დანაბნი კარადა მაგიდის ელექტრონა-
ტურით, ორი სკამი ზოლიანი კარადათი, კაფელის ლუმინის
მალბოლად დგას მუხისაგან გაკეთებული ტანსაცმლის დიდი
იტალია, რომელსაც ვლადიმერ ილიას ძე სულ სხვა მიზნით
იყენებდა — მასში წიგნების ინახავდა.

გვერდით არის ნაღვედა კონსტანტინეს სხეულის ოთახი.
იგი ორჯერ მეტა ილიას ოთახში, უკეთესადგადა მოწყობი-
ლი. ვლადიმერ ილია-ძე უკეთესად ცდილობდა ნაღვედა
კონსტანტინეს ასული რაც შეიძლება უკეთ მოეწყო.

მესამე სასადილო ოთახია: პატარა უმუშაობადაფარებული
ის სასადილო მაგიდა, სკამები, კარადა ჭურჭლისათვის, უბ-
რალ თევზები. ოჯახის წევრები მდიდრული მოწყობილ-
ობით არ სარგებლობდნენ, რომელიც აქ ყოფილი პატარინსაგან
დარჩა. აუცილებელი უზარალო საოჯახო ნივთები კრემლისე-
ული ბინიდან გადაიზიარეს, მაშინ როდესაც სასადილო ოთა-
ხი ძვირფასი ვაშ-ჭურჭლით იყო აღსებული. ფლიგელში სამ-
ზარელო არ იყო. ილიისათვის სადილი დასასვენებელი
სახლიდან მოჰქინდათ; იგი ისევე იკვირებოდა, როგორც
სხვები.

ვლადიმერ ილიას ძე ცხოვრობდა უზარალოდ, მომჭირნეო-
ბით. 1921-1922 წლებში მიიღო რუსეთი შიმშილობდა. მუ-
შებით და გლეხებით თავიანთი უზნარაო სიყვარულის გამოსახ-
ტავად თავად იტლებდნენ და საყვარელ ადამიანს სურსათ-სა-
ნოვად უზგავნიდნენ. პროდუქტებს ლენინი სასული არ იტო-
ვებდა — დაუყოვნებლივ უგზავნიდა საავადმყოფოებსა და
ვაჭრებს თავშესაფრებს, ვლადიმერ ილიას ძის ოთახი მტკი-
ცულ იტავდა პრინციპს — ეცხოვრებოდა სიღარიბეში, როგორ-
მაც მშრომლები ცხოვრობდნენ.

ერთი შტრიხი:
ერთხელ სასოხმასბოტოს თანამშრომლებს დაურვიდათ თი-
თი ფუთი კარტფილი. საში პირველი ფუტე გ. ი. ლენინი და
მისი გვარის ვაჭრებიც ეყრდნენ 2 ფუთი, იმ დღე. 6. კ. კრუპს-
სკაია — 1 ფუთი და ა. შ. ვლადიმერ ილიას ძემ „2 ფუთს“
სახე გაუსვა და დაწერა „1 ფუთი“, 6. კ. კრუპსაია კი სიდიდან
ამომოხა და განაცხადა: სასოხმასბოტოს არ მუშაობს.

მეორე შტრიხი:
იმ ხანებში ოთახები სუსტად თბებოდა, ვლადიმერ ილიას
ძის კაბინეტში ხშირად ციოდა. ფეხები რომ არ მოჰქინდა,
მაგიდის ქვეშ ქეჩა ფიცინა. ერთხელ თავის კაბინეტში მივიდა
და ნახა — რომ მაგიდის ქვეშ ქეჩის ნაცვალად თავის ტყავი
დავტოვო. რგი სიბრაზით აინთო: ვინ მისცადა ზნება, ეს რატომ
გაკეთეს? საერთო საქმეებზე ლენინი გაბოზდა არ არის, იქ
მუშაობს სიბრაზები იყინებინა, სასოხმასბოტოს თავმჯდომარემ კი
ფეხები ტყავით უნდა გათბოს? რისთვის არის ასეთი ფუფუნე-
ბა საჭირო!

ფლიგელში ვლადიმერ ილიას ძე 1918 წლის 26 სექტემ-
ბრიდან 11 ოქტომბრამდე ცხოვრობდა შემდეგ წლებში კი
იგი ზხოლოდ ზამთრობით იყო პატარა ფლიგელში, ხოლო
ზაფხულობით — დიდ შერბანში, სადაც ორ წელზე მეტი
გადავიდა. აქვე ყველაფერი სადადა მოხდა. როცა იქ გა-
დავიდა, ვლადიმერ ილია-ძემ განკარგულება გასცა სპეცია-
ლურად არაფერი არ გადაეკეთებინათ, არ დაესარჯათ სასხე-
უბი; დატოვებინათ ყველაფერი იმ სახით, როგორც ადრე იყო.
სახლ-სახეობის ერთ-ერთი უბარინაში, მინის ქვეშ ინახებო
ლენინის მიერ შევსებული რკ (ბ) X ყროლიანის დღეგა-
ტის ანექტა. ეს დოკუმენტი ლაპარაკობს ვლადიმერ ილიას
ძის საოჯახო თავმჯდომარეზე. ანექტის ერთ-ერთ კითხვასზე:
„რა ენებო იყოთ და როგორ?“ ლენინის პასუხობს: „ინგლისუ-
რი, გერმანული, ფრანგული ეყუდა, იტალიური ძალიან ცუ-
დად“.

სინამდვილეში კი ცნობილია, რომ 1911 წლის 29 ნოემ-
ბერს, პარიზში, პერ-ლაშეზის სასაფლაოზე, ხოლ და ლარა
ლავარევის დაკრძალვაზე ლენინი რსმდ სხეული გამოვი-

და და ფრანგულ ენაზე წარმოთქვა სიტყვა, ხოლო კითხ-
ვისხორცი იტერნაციონალის 1v კონგრესზე მოსწავნა
გერაიული ენაზე გააკეთა. ლენინმა კარგად იცოდა არა მარტო
ფრანგული, გერმანული, ინგლისური, არამედ კითხულობდა
იტალიურად, პოლოურად, იერძულად. დათმულიყოლები
ჩვეულებიან სტენდებთან, სადაც ჩვენი პარტიის X ყროლიანის
რეზოლუცია დაცული, პარტიის ერთიანობის შესახებ, რომ-
ბული ლენინმა დაწერა. აქვე მისი წერილი, რომელშიც იგი
ცენტრალური კომიტეტის დივიანს თხოვს, რათა ქეჩის დასე-
ყვის თაბასმდე გავუთავოს შეგულება ორი კვირით.

აქვე მეორე ყვილი, რომელშიც ილიანი თითქმის გაათა-
ვისუფლენ იგი ძლებუზე მთავიყოლებისაგან ავადმყოფობის
გამო.

მხანველები დიდი ინტერესით ეცნობიან ამ დოკუმენტებს.
რა იგეო რამა თქვენი ამ ყვილებში? ლენინმა, ორ-
გორც არავინ სხვამ, იცოდა, რომ პარტიული დისციპლინა ყვე-
ლასათვის ერთია — რიგითი მუშაკებისათვისაც და ხელმძღვან-
ებლებისათვისაც.

ივლიანს უდიდეს თავმჯდომარეზე ლაპარაკობს 1920 წლის
17 სექტემბრის რკ (ბ) მოსკოვის ორგანიზაციის წევრთა (გ)-
კისტრაციის დროს შევსებული ანექტა, სადაც აიის ასეთი
კითხვები და პასუხები:

კითხვა: რა არის თქვენი ძირითადი პროფესია?
პასუხი: ლიტერატორი.
კითხვა: წერთ თუ არა თქვენ სტატიებს გაზეთებში, სად
რა თემაზე?

პასუხი: იმეგობარ, პოლიტიკაზე.
კითხვა: რამე გამოცემის თქვენი მონაწილეობა ოქტომ-
ბრის რევოლუციაში?

პასუხი: ცენტრალური კომიტეტის წევრი.
დამთავლიერებლები შედიან ბიბლიოთეკაში ავადმყო-
ფობის მიუხედავად ლენინი ბევრს მუშაობდა, კითხულობდა.
მთელ კედლს ფარავს იყენებოთ სავსე ვეფერეთელა კარადა.
აქმა წიგნები ფილოსოფიურ, ისტორიულ, პოლიტიკურ, გეო-
ნომიურ საკითხებზე, ლექსებიც, გაზეთები, ჟურნალები,
რუსი და უცხო მწერლების მხატვრული ნაწარმოებები; ბიბ-
ლიოთეკაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი კ. მარქსის,
ფ. ენგელსის, ვ. ლენინის ნაშრომებს.

ამ წიგნებს, გაზეთებს, ჟურნალებს დიდებული ბედი
ჰქონიათ.

თითქოს ახლაც, კარადების გამჭვირვალე მინებს ამოფარ-
ებულნი, გულმოდგინედ ინახავენ დიდი ბეღლის ხეღის
სითბოს. მათგან ძალიან ბევრი ინახავს ლენინის ფოტო-
კაგლს — საზგასმებს, სხვადასხვა ნიშანს მინდორზე, ართ-
მეტეკულე გაანგარიშებას, მახელო სიტყვებს და მთელ დიგარ-
ამებსაც კი, დაზაზულ ლენინის მიერ ფანტრიადა კალმის
წევრი.

ცნობილია, რომ ვლადიმერ ილიას-ძეს ძალიან უყვარდა
ნადირობა, ვიტრინის გამოფენილია ლენინის პირადი ნივთე-
ბი. მხანველები ყურადღებით ათვალიერებენ ამ ნივთებს: ია-
რალებს, ქურქს, ხელთათმანებს, ხელჯაგს, პიჯაკს, დიდა სანა-
დირი ჩანთებს, ნარისფერ ფურცებს და სხვ. მხანველთა ყურ-
ადღობის იქცევის სურათია — ლენინის ნადირობის დროს
გორკაში“. სურათზე ლენინი თითქმის ხელში დგას.

მღელვარებით ათვალიერებენ მხანველები 1922 წლის 21
ნოემბრის „პრავდის“ გაყვითლებულ ფურცლებს, რომელშიც
დამტკიცელია ვ. ი. ლენინის სიტყვა მოსკოვის საბჭოს პლე-
ნუმზე. ეს იყო დიდი ბეღლის უკანასკნელი გამოსვლა ხალ-
ხის წინაშე.

დამთავლიერებლები დიდხანს ჩერდებიან გარკეთიან. აქ
დგას გარეგნულად არაჩვეულებრივი ავტობიომბი. მას უკანა
თვლებს ნაცვალად მუხლებში აქვს, ხოლო წინა თვლებს მა-
გიურ — ფართო თხილამურები. ვლადიმერ ილიას-ძემ ამ მან-
ქანით სარგებლობდა ზამთრობით. აქვეა ინგლისური „როლ-

როისის“ ფირმის მსუბუქი ავტომანქანა. გვერდით დგას მარხილი, რომლითაც ავადმყოფი ლენინი ტყვეში სეირნობდა, აქვეა ნავი, რომლითაც იგი მდინარე პასარაზე დაეკურავდა.

საინტერესოა პატარა ე. წ. სატელეფონო ოთახი. ფანჯარასთან დგას პატარა მაგიდა, კედელზე ძველი კონსტრუქციის ტელეფონი კიდია. ლენინი ხშირად ჩაჯდებოდა ხოლმე ტელეფონთან საგარეო მსოფლიო და კარნახობდა ჩანაწერებს და მიეღობდა სტატეგიას კი.

1923 წლის 2 ნოემბერს ვლადიმერ ილიას-ძეს გორაკში ეწვია გლუხოვის ბამბეულის კომბინატის მუშათა დელეგაცია ხუთი კაციც შემადგენლობით. მუშებმა საჩუქრად ჩამოუტანეს თვამეტეი ძირი ალუბლის ხე და წერილი გლუხოველებსადგან:

„თქვენს ბაღში ახლად დარგულმა ალუბლებმა მალე გამოგაჯასადალი“.

დელეგაცია მიიწვიეს ერთ-ერთ ოთახში, სადაც მათ გაღიმებული ვლადიმერ ილიას ძე შემოხვდათ. იგი მივიდა სტუმრებთან და თავაზიანად გაუწოდა მარცხენა ხელი (მამის მას უკვე უჭირდა მარჯვენა ხელის ხმარება). მუშები სიხარულითადაც დაიბნენ და ცრემლები მოადგათ თვალებზე.

ხუთივე წუთის შემდეგ ჩამოსული ამხანაგები გულთბილად გამოემშვიდობენ ბელადს. ვლადიმერ ილიას-ძე თვითონ მათგანს გადაეხვია. ყველაზე ბოლოს მას 60 წლის მუშა კუნძეცვი გამოუხოხვა. ისინი ორიოდე წუთს იდგნენ გადახვეულნი. აცრემლილი კუნძეცვი მთელი ამ ხნის განმავლობაში იმეორებდა: „მე მუშა ვარ, ვლადიმერ ილიას-ძევე, მჭედელი და ყველაფერს გამოვჭედავთ, რასაც კი თქვენ დაგვისაბავთ“.

ეს იყო მუშების, უკანასკნელი შეხვედრა ბელადთან. ალუბლის ხეები, რომლებიც გლუხოვის მუშებმა საჩუქრად ჩამოუტანეს ვლადიმერ ილიას-ძეს, ახლაც ხარობს გორაკში — ხეხილის ბაღში.

კაბინეტში ყველაფერი ისეა, როგორც ილიჩის სიცოცხლეში. ოთახის შუაგულში პატარა საწერი მაგიდა დგას. მაგიდაზე უბრალო საწერი მოწყობილობა: სამკლავი, კალმის-ტარი, ფანქრები, კონვერტები, მაკარატები და წიგნების საჭრელი ანაბ, რამდენიმე ბლანკი წარწერით — „სახალხო კომისარტა საბჭოს თავმჯდომარე“. მაგიდაზე დევს დიდი ლამა

პა, გვერდზე დგას დაბალი მაგიდა, რომელზეც დევს რკმ (მ) XI ყრილობის სტენოგრაფიული ანგარიში, ლენინის ბროშურები — „კარლ მარქსი“, „დიადი თაოსნობა“, „პრავდის“ ინტერინდელი გაყვითლებული ნომრები.

კედელზე კალენდარია პ. პ. ჩეხოვის სურათით. ჩვეულებრივად ლენინი თვითონ ხვდა ფურცელს კალენდრიდან. 1924 წლის 21 იანვრის ფურცელი მოუხვევლი დარჩა. მნახველები დანადგოლიანები შეჭურებენ ამ ფურცელს.

მუშეების დამთავალიერებლები სამუშაო ოთახიდან გადაიან ვლადიმერ ილიას-ძის საძინებელ ოთახში, ყველას ერთნაირი მღელვარება იპყრობს. ოთახში ყველაფერი ისევეა დაცული, როგორც ილიჩის სიცოცხლეში იყო. მარცხენა კუთხეში დგას ხის საწოლი. საწოლსა და ფანჯარას შორის მალალო სარკვე, სარკესთან დგას მაგიდის ელექტრონათურა, ჭიკა და წამალი, სკამები. მაგიდაზე დევს პენსხე ბუდიო, წიგნების საჭრელი დანა, მასქინი გორკის წიგნი „ჩემი უნივერსიტეტები“, ჯეკ ლინტონის მოთხრობების კრებული, სალტკოვ-შჩედრინის ტიბეული, დემიან ბედნის ლექსები.

ამ ოთახში ყველასთვის მოულოდნელად 1924 წლის 21 იანვარს, 6 საათსა და 50 წუთზე გარდაიცვალა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი.

დამთავალიერებელი მუშეების უკანასკნელ ოთახში შედიან. მინის ქვეშაა გახუთი „პრავდა“, რომელშიაც მოთავსებულია ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა „პარტიისადმი, ყველა მშრომელისადმი“, გვადლევენენ მიმართვის მგზნებარე სტრიქონები:

„...ლენინი ცოცხლობს ჩვენი პარტიის თვითიული წვერის სულში. ჩვენი პარტიის თვითიული წვერი ლენინის ნაწილია. მთელი ჩვენი კომუნისტური ოჯახი ლენინის კოლექტიური განსახიერებაა.“

ლენინი ცოცხლობს თვითიული პატისანი მუშის გულში. ლენინი ცოცხლობს თვითიული ღარიბი გლეხის გულში. ლენინი ცოცხლობს მილიონიან კოლონიურ მონათა შორის...“

სიამაყის გრძობით, ნათელი მომავლის, კომუნისზმის გამარჯვების ღრმა რწმენით, სტოვებენ დამთავალიერებლები ლენინის სახლ-მუზეუმს გორაკში. თან მიჰყვებათ დიდი ბელადის ნათელი ხსენა, რომლის სახელი და საქმე სამარადისოდ იცოცხლებს მსოფლიოს ყველა მშრომელის გულში.

ა. რატინი

შალველი შემოპარი





ლენინი

სახალხო

დღესასწაულებზე

შალვა გოგიძე



ომუნისტური პარტიისა და პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ფუძემდებელს ვლადიმერ ილიას ძე ლენინს რევოლუციური დღესასწაულების დღეებში მუშებთან უყვარდა ყოფნა. მოსკოველი და ლენინგრადელი მუშები, ძველი ბოლშევიკები და რევოლუციის უპარტიო ვეტერანები, განსაკუთრებით ტკბილად იგონებდნენ, თუ როგორ ხვდებოდა ვ. ი. ლენინი მათთან ერთად ახალ წელს. მათი გადმოცემით იგი სისტემატურად გამოდიოდა საზეიმო სხდომებზე, რომლებიც ეწყობოდა ქალთა საერთაშორისო დღის, პირველი მაისისა და დიდი ოქტომბრის დღესასწაულებთან დაკავშირებით. დღესასწაულებზე ვ. ი. ლენინის გამოჩენა უსაზღვრო სიხარულს იწვევდა დამსწრეებში და მთელ საღამოს მხიარულების ნათელ სხივს ჰფენდა.

პირველ საბჭოთა ახალ წელს ვლადიმერ ილიან ძემ მკაცრ პროგრადი ცნობილი მუშათა რაიონის—ვიბორგის მხარის მშრომლებთან შეხვდა. ის იყო 1917 წლის 31 დეკემბერს. იმ საღამოს ვლადიმერ ილიას ძემ გვიან დატოვა კაბინეტი და როგორც ყოველთვის, ის იყო მცირე შესვენებას აპირებდა, რომ ამ დროს ნადეჟდა კოსტანტინეს ასულმა შეახსენა ვიბორგის რაიონის მშრომელთა მიწვევა. მიუხედავად იმისა, რომ დაღლილი იყო და თანაც უპირავე სამუშაო ჰქონდა, მუშების თხოვნაზე უარის თქმა შეუძლებლად ჩასთვალა, რადგან ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფო თავისი არსებობის მანძილზე პირველად ხვდებოდა ღირსშესახიზნავ ახალ წელს.

ლენინის მანქანა სიბირსკის ქუჩისაკენ გაემართა და გაჩერდა ყოველ მიხეილის სახელობის საიუნკრო სასწავლებელთან, სადაც ხვდებოდნენ ახალ, 1918 წელს ვიბორგის მხარის მშრომლები.

დარბაზში ტაშმა იქუხა. ყოველი მხრიდან გაისმა ალტა-ცების გამომატველი შეძახილები:
— გაუმარჯოს ლენინს!
— ვაშა ილინს!
ამ დროს დარბაზში ზაფხულის პირველი ჭექა-ქუხილის მსგავსად დაირსა „ინტერნაციონალის“ ცნობილი პანგები. ხახვრძლივი ოვაციები და შეძახილები მიყენარდა. ილიჩი სცენაზე ავიდა.

— გამარჯობათ, ამხანაგებო! მომილოცავს ახალი წელი! — მიმართა ვლადიმერ ილიას-ძემ შეკრებილთ. ილიჩი სცენაზე იდგა, მას ხელი მაღლა აღეშარა და ჩვეული ღიმილით იქ მყოფთ აწყნარებდა. შემდეგ გულთბილი სიტყვით მიმართა შეკრებილთ. იგი ლაპარაკობდა საბჭოთა ხელისუფლების ამოცანებსა და სიძინელებზე, იმის შესახებ თუ როგორ უნდა მოაწყოს მუშათა კლასმა თავისი ცხოვრება, როგორ უნდა იმუშაონ ახლებურად თავიანთი თავისათვის და თავიანთი შვილებისათვის.

საღამოს მონაწილეებს სამუდამოდ ჩარჩათ მექსიერებამი ბელადის სიტყვები. „ამხანაგებო, — თქვა ვლადიმერ ილიას-ძემ, — აი უკვე ნახვარია საათია, რაც ახალ წელში ვცხოვრობთ. უთუოდ ეს იქნება ძალზე ძნელი, ძალზე მკაცრი იქნება. ჩვენ შევიძლია ეს გავიტავლისწინით როგორც მინაგანი, ისე საერთაშორისო კონტრრევოლუციის მხრივ ცოფიანი თავდასხმების მიხედვით. მტკიცედ ვართ დარწმუნებული, რომ ვერც ბატონი რიბაუშეინსკები, რომლებიც ცდილობენ დაგვადროსონ საბოტაჟითა და შიმშილით, ვერც ბატონი კალენინები, რომლებსაც სურთ ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის გასრევა, ვერავითარი იარაღის ძალით ვერ შეძლებენ განახორციელონ თავიანთი ეს „წმინდათა-წმინდა“ მისია. მომავალი ჩვენ გვეკუთვნის!“

ვ. ი. ლენინის სიტყვით გამხმნეებულმა ადამიანებმა ხელში აიტყვეს იგი, მასთან ერთად აიტყვეს ნადეჟდა კოსტანტინეს ასული. ილიჩი შესანიშნავ სასაითზე იყო, სულ გადაავიწყდა დაღლოლობა. მაგიდის გარშემო მსხდომთ ესუჩრებოდა, ებასებოდა. ეს იყო მართლაც დაუვიწყარი საღამო როგორც ლენინისთვის, ისე ყველა იქ დამსწრეთათვის.

1957 წლის 30 დეკემბერს, ლენინგრადში, კომკავშირის ქუჩაზე მდებარე № 22 სახლის ფასადზე, სადაც ვიბორგელთა ეს შეხვედრა მოწვეო, საზეიმო ვითარებაში გაიხსნა მემორიალური დაფა წარწერით: „ამ შეხვედრაში 1917 წლის 31 დეკემბერს (1918 წლის 13 იანვარს) გამოვიდა ვ. ი. ლენინი ახალი წლის საღამოზე ვიბორგის მხარის მუშებისა და წითელარმიელების წინაშე“.

კინოსტუდია „ლენფილმი“ იღებს მსაჯერულ ფილმს „ერთ პლანეტაზე“, რომლის თავისებური სიუჟეტური ეფრძია

1 გაზ. „პრაგმა“, 1963 წლის 1 იანვარი.

ე. ი. ლენინის, ნ. კ. კრუჰსკაიას და ვიბორგის მხარის მუშე-
ბის საბჭოთა ხელისუფლების პირველი ახალი წლის შეხვედ-
რა. ამ ფილმში ლენინის როლს შეასრულებს მსახიობი იხო-
კენტი სმოტკუნოვსკი.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში, მოსკოვში,
(ძველი სოკოლიცის პარკში), მშრომელთა ბავშვებისათვის
გაიხსნა სატყეო სკოლა. აქ, 1919 წლის იანვარსდღე ავად-
სყოფობის გამო მკურნალობდა და ისვენებდა ნ. კ. კრუჰ-
სკაია. ვ. ი. ლენინი ხშირად ნახულობდა ხადეჟდა კონსტან-
ტინეს ასულს, ყოველ ჩამოსვლაზე ესაუბრებოდა სკოლის თა-
ხამშრომლების და ბავშვებს. ისინი ძალიან შეეჩვივნენ ვლა-
დიმერ ილიას-ძეს და მზურგაღედ შეიყვარეს იგი.

1919 წლის 19 იანვარს სკოლაში მოეწყო საახალწლო ნად-
ვის ხე. ლენინის მითითებით წინა დღეს ბავშვებისათვის სა-
ჩუქარი მოიტანეს. სკოლის თანამშრომლების მიწვევით ბავ-
შვთა საახალწლო ნადვის ხეზე ლენინი თავის დასთან, მ. ი.
ულანოვასთან ერთად მივიდა. როგორც კი ბელადი დარბაზში
გამოჩნდა, ბავშვები შემოეხვივნენ და მთელი საღამო გვერ-
დიდან არ მოშორებანი.

სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის ვ. ლ.
ბონჩ-ბრუევიჩის მოგონებებში ვკითხულობთ: „ბავშვთა დღე-
სასწაულზე ვ. ი. ლენინი გულწრფელად მხიარულობდა, იცი-
ნოდა და ხორჩებთან ერთად მღეროდა კიდევც. პატარები მრავალ
შეკითხვას აძლევდნენ ვლადიმერ ილიას-ძეს. იგი ას-
წრებდა ყველა კითხვაზე პასუხის გაცემას, ხუმრობდა, გონე-
ბამაზეილობდა, შემდეგ კი თვითონაც უსვამდა კითხვებს, აძ-
ლევდა მათ გამოცანებს, განსაცვიფრებელი ის იყო, თუ საი-
დან იცოდა და ახსოვდა დიდ ლენინს ყველაფერი ეს“.

1919 წლის 31 დეკემბერს ვ. ი. ლენინი, ნ. კ. კრუჰსკაია-
სა და მ. ი. ულიანოვასთან ერთად მოსკოვის ბაუშანის (ყოფი-
ლი ბასმანის) რაიონის მუშათა საახალწლო საღამოზე მოვი-
და. დიდმა ბელადმა შეკრებილთ მოკლე სიტყვით მიმართა,
რომელშიც შევიხ ფრონტზე წითელი არმიის გამარჯვებასა
და ეკონომიურ რღვევასთან მუშათა კლასის ბრძოლის ამო-
ცანებს.

როგორც სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქ-
სიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის მიერ ამ ბოლო დროს იქნა
დადგენილი, ვ. ი. ლენინი 1919 წლის 31 დეკემბერს ნ. კ.
კრუჰსკაიასა და მ. ი. ულიანოვასთან ერთად დაესწრო აგ-
რეთვე მუშათა საახალწლო საღამოებს ლეფორტოვის, როგოე-
სკის, სიმონოვსკისა და პრესნიას რაიონებში.

ამჟამად ჩვენს ხელთაა უამრავი მასალა, რომლებიც მოგ-
ვითხრობს ვ. ი. ლენინის საახალწლო შეხვედრებზე მუშებთან.
აი, ერთ-ერთი მოგონება, რომელიც ხადეჟდა კონსტანტინეს-
ასულ კრუჰსკაის ეკუთვნის: „ვლადიმერ ილიას-ძეს უყვარდა
მისთვის საინტერესო საკითხებზე მუშებთან მსჯელობა. დიდი
ინტერესით ისმენდა იგი მათ ნაშრობებს, უკვირდებოდა თუ
როგორ უღებოდნენ ისინი ამა თუ იმ საკითხს, ამიტომ ყვე-
ლა მისი სიტყვა ასევე ახლოებული და გასაგები იყო მუშეი-
სათვის. დასვენების წუთებშიც კი მას გული მუშებისაკენ მი-
უწევდა“.

1920 წლის 31 დეკემბერს, კინოთეატრ „აუკაზარის“
(ამჟამად მისოკოვის სახელმწიფო რესტორანის თეატრი) შერე-
ბაში მოეწყო კრასნოპრესნიას რაიონის მუშათა საახალწლო
საღამო. მუშები დღესასწაულზე თავიანთი ოჯახებით მოვიდ-
ნენ. 12 საათზე მათ ვ. ი. ლენინიც შეუერთდა და საახალწლო
მისალმებელი სიტყვა წარმოთქვა.




ვ. ი. ლენინი ა. ლევიცის ფოტო

ალსანიშნავია 1923 წლის დეკემბრის ბოლო რიცხვები,
როცა ახალი წლის წინ, ვ. ი. ლენინის თხოვნით მასთან შეკ-
რინებს გორკოვს გლეხების ბავშვები და მათთვის საახალწლო
ნადვის ხე მოაწვეს. ვლადიმერ ილიას-ძე უცქეროდა პატა-
რებს, ხარობდა მათი მხიარულებით და თვალზე სიყვარული-
სა და აღტაცების ცრემლები უბრწყინავდა.

1924 წელს ასეთივე ნადვის ხე გორკაში ცალკე ათასფრად
მორთეს, მაგრამ ამჟერად ვ. ი. ლენინს ნადვის ხეზე ვიფხნა არ
შეეძლო. იგი მისიმე ავადმყოფი იწვეა ოჯახში შიმშილდნენ,
რომ ხმაური შეაწუხებდა ილიანს, მაგრამ ლენინმა კატეგორი-
ულად განაცხადა — არაკიანა შემთხვევაში არ შეეზღუდათ
ისინი, მიეცათ მათთვის მივლით გულთხენის შესაღებ-
ლობა.

ვ. ი. ლენინის მიერ დამკვიდრებული საახალწლო მისალ-
მებები ჩვენს ქვეყანაში კარგ ტრადიციად იქცა.

² მოგონებები ვ. ი. ლენინზე, ნაწ. 2, 1957 წ. გვ. 443 (რუს).



ვ. ი. ლენინი და ამერიკელი ეკონომისტი კრისტინი. 1921 წ.

ა. ლევიცის ფოტო

იგი უირზე აღუჭლავლა

ლენინის სხეს

ლალი გუნთაიშვილი

მ

არშემო ზღვა ხალხია. ჭარმაგ წვეროსანთა ტალღას პირტიტველა ჭაბუკები უერთდებიან... გაბონილი, დალაჭავებული პიჯაკები, დაკერებული პერანგები და შარვლები, მოღრეცილი ჩექმები, სახეზე ერთმანეთში არეული ოფლი და მური, დაკოფრილი ხელები თითქოს ისევ ჩაქუჩებისა და გრდემლების სიმძიმეს გრძნობენ.

ეს ის დროა, როცა მშვიერ-ტიტველი, უიარაღო წითელი არმია მხოლოდ ხიმტებით იგერიებს გამხეცებულ მტრებს. დიდა მსხვერპლი; ილუპებიან თავგანწირულნი, თხელდება წითელ მეთმართა რიგები, ბრძანება: — მობილიზებულ იქნან

ფაბრიკა-ჭარხანათა მუშები, 96 საათის განმავლობაში გაიართონ სამხედრო წვრთნა! სხვა გამოსავალი არ არის. და აი, ესენი სწორედ ის ხალხია. მოედანზე გამოცოცხლებია. ახალ-ახალი ნაკადი იჭრება ისედაც მოზღვავებული ხალხის რიგებში. აქვეა სახელდახელოდ შექმნილი ტრიბუნა — სატივითო მანქანა.

ყველა მოლოდინადაა ქცეული. უცებ კრემლის კარებთან გაისმა „ვაშა-ა-ა!“ ჭარივით დაურბინა ამ ძახილმა სხვებსაც და მალე ყველამ აიტაცა იგი. ძლიერმა ხელებმა უნებლიეთ ჩაბღუჯეს თოფები... კრემლის კარებიდან ჩვეული ნაბიჯებით

გამოვიდა ლენინი. მუშათა კოლონა გაიყო და ცოცხალ კედლებშუა ვლადიმერ ილიას-დე ტრიბუნისაკენ მიემართებოდა.

სმენად და თვალბადქცეულ ადამიანთა შორის, მანქანების ძარაზე მორიდებით იდგა მაღალი, სიმპატიური შესახედლობის კაცი. დაკვირვებულ, ჭკვიანური გამოხედვა, ისეთი, როგორც ხელოვანი აქეთ ხოლმე — ასეთი იქნებოდა მისი პორტრეტი, ერთი შეხედვით დანახული. ეს იყო ალექსანდრე ანდრეის-დე ლევიცი, რუსი კინოოპერატორი. მისი შემოქმედებითი ბიოგრაფია, რომელიც სხვა თასობით გამოჩენილ ადამიანთა ბიოგრაფიას უკავშირდება, უდაოდ საინტერესო იქნებოდა საზოგადოებრიობისათვის. 1964 წელს გამოცემულმა „ხელოვნებამ“ რუსულ ენაზე გამოსცა ამ შეხანიშნავი მოქალაქისა და ოპერატორის წიგნი „მოთხრობები კინემატოგრაფზე“. ბევრი საინტერესო ეპიზოდი როგორც მისი, ასევე საერთოდ რუსი ხალხის ცხოვრებიდან, ლამაზი, დახვეწილი ერთი ცოცხლდება მკითხველის წინაშე. ეს არ არის ერთი ადამიანის სიცოცხლის გზების, აზრთა სამყაროს გადმოცემა, ეს არის მოწინავე საზოგადოების, რჩეულთა ცხოვრების სურათების, მოაზროვნეთა ცხოვრების ნიუანსების მხატვრულად ჩამოყალიბება.

იმდენი რამე გსმენია დიდ ოქტომბერსა და მის ბელადზე, იმდენი გინახავს და წავიციოხავს და მაინც იმდენია ახალი და შენთვის უცნობი ამ წიგნიში, ისე ახლოა შენთან ლევიციის მიერ მოთხრობილი ამბები, გგონია მეც ვარ ამ დღეთა შემსწრე და მონაწილეო.

ა. ლევიცი ჯერ კიდევ 900-იან წლებში იწყებს მოღვაწეობას. მეგობრულად კინოხელოვნება განუვითარებელია კინოს არ გააჩნდა საკუთარი ტრადიციები და მის მთავარ ნაწილს მხატვრული სუროვატები წარმოადგენდნენ. ფილმის ავტორები (აქ იგულისხმება ყველა, ვინც რაიმე მონაწილეობას იღებდა მის შემქმნელში) ისე პირდაპირ და განუსაზღვრულად იყვნენ დამოკიდებული ფულზე, როგორც არაფერი.

კინოწარმოება მთლიანად უცხოელებს ჩაუვლიათ ხელში მათ უმეტესად კინო აინტერესებდათ, როგორც შემოსავლისა და კაპიტალის დაგროვების წყარო, ხოლო სხვა, უმთავრესი — მწერე და შესამხარისხოვანად იყო მიჩნეული.

რუსული ფრანგული კინოფირმის ხელმძღვანელია ბარონი პატე. ლევიცი მასთან მუშაობს. აი მასთან ლევიციის მუშაობის ერთი ეპიზოდი: პატეს დაჯილდებით ოპერატორი და მის მიერვე შეჩვენებული სცენარისტი შორეულ სოფელში მიემგზავრებიან, სადაც გადმოემთხი, ივანე სუსანინის შობამზადლნი უნდა ცხოვრობდნენ. რა თქმა უნდა საინტერესო იქნებოდა მათი ფირზე აღბეჭდვა. სახელს გაითქვამს ფრანგულად ფირმა... მაგრამ არავითარი სუსანინი... სოფლიდან ხელცარიელი დაბრუნება — კი არ შეიძლება და კადრში ხვდება სოფლის მამასახლისი — კუნთმავარი, ბრვე ვაჭკვაფი. ფილმს გაუკეთდა შესაბამისი წარწერები. ასე აღმოჩნდა სუსანინის ცრუ შობამზადლი.

ლევიცისთან ერთად პატეს კანტორაში მუშაობდა რეჟისორი პროტასანოვი, რომელიც დიდი სიყვარულითა და პატივისცემით იგონებს ავტორს.

მაღე პატეს აბეგლე გადაეცა ტიშანისა და რენეგარდტის გამჭირავებელ კანტორას. აქ დაიწყო რუს კლასიციოსთა ნა-



სცენა სპექტაკლიდან „დორიან გრეის პორტრეტი“ ფოტო ა. ლევიცისა

წარმოებების ევრანიზაცია, რაც უკვე წინსვლას ნიშნავდა; დამდგმელებს ხელთ ჰქონდათ სრულყოფილი და ბრწყინვალე ლიტერატურული პირველწყაროები, თუმცა იქიდან გადმოყვებულნი სცენარი ხშირად სცილდებოდა დედანს. ეს ფილმები „რუსული ოქროს სერიის“ მარკით გამოდიოდა. გადაიღეს ჩეხოვის „ხელოვნების ქმნილება“, ტურგენევის „აზნაურთა ბუდე“, ტოლსტოის „ომი და შვიდიობა“ და სხვ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კონკურენცია კინოს დარგშიც ძალშია ჩრებიდა. მშენებრად გადმოგვემს ლევიცი „ომი და შვიდიობა“ გადაღების სირთულეს. ასევე ნაწარმოებს იღებდა საკმაოდ წეღამართული კინოწარმოებელი ხანოვსკოვი, რომელსაც საკუთარი ლაბორატორია გააჩნდა. მისთვის ფირების გამქვადენება არაფერს წარმოადგენდა, მაშინ, როდესაც ლევიციის ჯგუფისთვის ეს თითქმის მთავარი დამბრკოლება იყო. გადაწყვეტილი იყო, ვინ მოასწრებდა ფილმის ადრე გადაღებას და მთავარ ქალაქთა ევრანიზის დაგეგმვას... ასეთ ბრძოლაში შეიჭრა ორი ფილმი — „ომი და შვიდიობა“ და „ნატაშა როსტოვა!“ (ასე უწოდა ხანოვსკოვმა თავის „დაგვიანებულ“ ფილმს).

ლევიცი ამ პერიოდში ივანე ასრეთვე პროტასანოვს, რეჟისორ გარდინს, მეტად ორიგინალურ რეჟისორტრას სკულოვს, ნიჭიერ მსახიობს შატერნიკოვს, რომელიც ლევიციის მეგობართვან პირველი გამხდარა ომის მსხვეპრული.

ომს ახალი გართულებები მოჰყვა. ცარიზმი უკანასკნელ ძალეებს იკრებდა. ყველას, განურჩევლად ასაკისა და პროფესიისა, ჯარში იწვევდა. ლევიციც თავის ჯერს უცდიდა, მანამდე კი საყვარელ საქმეს განაგრძობდა. ავტორი თავისი წიგნის 30 გვერდს უთმობს რეჟისორ მეიერჰოლდთან ერთად მუშაობის პერიოდს „დორიან გრეის პორტრეტზე“. ამ თავის სათაურია. — „მივიწყებული ფურცლი“: ლევიცი მეიერჰოლდს



ვ. მეგრძოლი. ფოტო ა. ლევციას

ახასიათებს, როგორც მეგობარს, ნიჭიერ შემოქმედს. „დორიან გრის პორტრეტი“ კარგი ფილმი გამოსულა. ასე სწორს მისი შემქმნელი ოპერატორი.

დროს კი თავისი გააქონდა. მეფის რუსეთი სულს დაფავდა, წყალბადებული ხავსს ეკიდებოდა. მისი სისხლისმსმელი მანქანები ადამიანთა ახალ მსხვერპლს მოითხოვდნენ. ა. ლევიცი შემთხვევით გადაურჩა ჯარში გაწვევას. ნაცობმა მსახიობმა იგი მიიყვანა ახლადნამოყალიბებულ სკოპელევის კომიტეტში, რომელიც ქრონიკალური და მხატვრული ფილმების გადაღებას აწარმოებდა. მისი წევრები არასამხედრო ვალდებულნი იყვნენ. ისინი აპარატებითა და საჭირო ნივთებით აღჭურვილნი ხშირად ესტუმრებოდნენ ხოლმე ფრონტის წინა ხაზებს. ერთ-ერთი ასეთი ეპიზოდის აღწერისას მთელი სარკაზმითა და იუმორით გადმოგვცემს ავტორი მეფის ოფიცრების გადაგვარებას, მათ უსიცოცხლობას და ინერტულობას, უმიჯნაო ფსიქოზსა და სხვა მანკიერებას. წიგნის ყველა ფურცლიდან ჩვენ გვესაუბრება განათლებული, დიდი გემოვნების ადამიანი. მშვენიერი სალიტერატურო ენა, მიგნებული მხატვრული ხერხები ისეთ შთაბეჭდილებას გიქმნით, თითქმის გამომბრძნებელი მწერლის თხზულებას კითხულობდეთ.

დადა 1917 წელი. მოხდა ისტორიულად გარდევადი გადატრიალება. მეფემ „დატოვა“ ტახტი. დროებითი მთავრობის სათავეში მყვიარალა კერენსკი ექცევა. იგი მოითხოვს ბრძოლას უკანასკნელ ამოსუნთქვამდე, გერმანიის საბოლოო განადგურებამდე, მაგრამ ხალხმა იცის, რომ პირიქით მოხდება, ომი სამედისწეო იქნება რუსეთისათვის. პროლეტარიატის ინტერესებს იცავს ბოლშევიკების პარტია, უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობს ვ. ი. ლენინი. მშრომელებს თავიანთი მედი მისთვის მიუღწევია—ხალხმა იცის ღირსეულის ამორჩევა!

ყალიბდება სხვადასხვა პროფესიული კავშირები. დაისვა საკითხი შექმნილიყო ასეთი კავშირი კინემატოგრაფიაშიც, რომელშიც კინოს ყველა მუშაკი უნდა შესულიყო. ასეთი კავშირის პირვანდელი სახე იყო „მეათე მუსა“. იგი ძალიან შორს იდგა ნამდვილი პროფესიული კავშირიდან, ათასში ერთხელ იმართებოდა არაფრისმთქმელი დისკუსიები, რამდენიმე თვეს ცლოდებოდა „მეათე მუსა“.

დადა უმძიმესი პერიოდი. საზღვარგარეთმა თავისი კონტრრევოლუციური ძალები დაძრა რუსეთისაკენ, მას შინაურებიც მიემატნენ. სიცოცხლე თითქოს ჩაკვდაო დედაქალაქში. საერთო ფონს კინოხელოვნებაც შეერწყვა. ეკლესიამაც დრო იშოვა და გადაწყვიტა საბჭოთა ქვეყნისათვის ანგარიში გაესწორებინა. მათი საბრძოლო ღონისძიება იყო — „საბჭოები ეშმაკისა და არა ღვთისა“.

ეს უკვე 1918 წელია. მოსკოვის კინოკომიტეტის თავმჯდომარე კომუნისტი პროპარაგანდისკი დებულობს გადაწყვეტილებას — შეიქმნას ანტირელიგიური ფილმი. ოპერატორად მიიწვიეს ა. ლევიცი. ამავე წელს შეიქმნა პირველი საბჭოთა ანტირელიგიური ფილმი „მღვდელი პანკრევი“. მღვდლის როლს თვითონ პროპარაგანდისკი ასრულებდა.

გადიოდა დრო, რუსეთი ახალ ცხოვრებას იმეკიდებდა. საჭირო იყო მასების იდეოლოგიური და ესთეტიკური აღზრდა. ეს გაისრებოდა ხელოვნებას, ხოლო როგორც ლენინი ამბობდა: კინოხელოვნება ხელოვნებათა შორის უმთავრესია. ლენინმა კინოს დაავალა რევოლუციური პროპაგანდა და მასების განვითარება. კინემატოგრაფის წინაშე დაისვა ამოცანა ქრონიკალურად ადებეტა რევოლუციის მოვლენები და შეექმნა ნეკინურულ-პოპულარული ფილმები. ამდენად, კინო გადაიქცა მასების პოლიტიკური და კულტურული აღზრდის იარაღად ფილმების წარმოება დაიწყო ქრონიკით.

ოპერატორი ა. ლევიცი იანიშნება ფოტო-კინოქრონიკის გამგედ. აქ ისევე მოგონებთათა მთელ ნაკადს გავწვდის წიგნის ავტორი. ისევ და ისევ წარსული წლებს ნანებო-მეგობართა სახეები ცოცხლდებიან. ესენი არიან ოპერატორები: ტისეი, ნოვიცი, ენმოლოვი, რევისორი გიბერი. ფოტოგორესპონდენტები: გოლდშტეინი, ალექსეევი და სხვები. ყველა მათგანისათვის ავტორს დამახასიათებელი შტრიხები მოუნახავს და მათი ცხოვრების საინტერესო ეპიზოდებიც შეურჩევია.

კინოხელოვნება მხოლოდ ქრონიკით გამყოფილდება: ლევიციც, როგორც რიგითი ოპერატორი, მხარბო უღვას კოლეგებს, არცერთი ღირსშესანიშნავი მომენტი არ დარჩეს ადუბეჭდავი, გადაცემის დროს ფირზე რევოლუციისა და მისი გა

მარჯვების, მიღწევების დღეები. სადაც რაიმე ახალი და მნიშვნელოვანი ხდება, იქა ლევიციაც თავისი განუყრელი აპარატითა და სადაგარით.

აი, ახლაც ხოლდინის ველიდან რუსული ავიაციის პაპა ბორის როსინსკი უნდა აფრინდეს. ამბობენ ვ. ი. ლენინი ცნობას. გაზაფხულის ადრინად დილაა, ცივა, მინც უამრავ ხალხს მოუყრია თავი. როსინსკი დელავს. ვინ იცის მერამდე-ნედ ამოწუმებს თვითმფრინავს... სამავალითი უნდა იყოს დღევანდელი ფრენა, დღეს ხომ ლენინიც დასწრება... ამინდი ფუტდება, ქარიც ძლიერდება, მფრინავი არ აპირებს ფრენის გადადგებას. აეროდრომი ჰქვს შეძახილებისაგან — ლენინი მოვიდა ნადფრედა კრუსკაიასა და თავის დასთან ერთად. როსინსკი ასაფრედა ემზადება, ბრძანება გაცემულია, თვითმფრინავი ნელ-ნელა შორდება აღდამიწას, რამდენიმე წრეს არტყამს აეროდრომის გარშემო და მალა მიიწევს. აილო საკმარისი სიმაღლე და ოსტატურად, დახვეწილად იწყებს „მგდარი მარყუეის“ შესრულებას. ასე გაიმორა 18-ჯერ. სუნთქავაშვრული ხალხის მურა მოძრავ წერტილს მიჰყინვია. როსინსკი ისევ ზევით მიიწევს და... კიდევ ერთი „მარყუეი“; შემდეგ სწრაფად ეშვება ძირს და როცა გგონია, სადაც დასაწყობით გადაიტანა ფირზე, მაგრამ, საწუხაროდ, ეს ფირები არ შემონახულა.

უცხოელი კინორეჟისორები რუსეთიდან გზიანა, მათ უერთდებოდა ზოგიერთი რუსი მოქალაქეც, წასასვლელად ენახებოდა: გამოჩენილი პროტასანოვი, გაიადრედი, მოზუხინი, ლისენკო და ბევირ სხვაც. ლევიციის ჩასწორებლები — მსატრული ფილმები აღარ შეიქმნება, რაღა უნდა გადაიღოს და უსატყენ უცხოეთის თვალისმომჭრელ სურათებს. ა. ლევიცია ემზადება რუსეთის დასატყვებლად. სწორედ მაშინ მიიწევს იგი ცნობილი „96 საათის“ გადასაღებად. აი, დღეს ოპერატორი საკვირთო მანქანაზე, უყურებს ფაბრიკა-ქარხნების მუშებს, მათ აღგზნებულ სახეებს და ფიქრობს: „მე მივგზავნი, არა, გაგზავნი. სად, რატომ, საძიებლად? რის საძიებლად? ადვილი ცხოვრების? მუშები არ გარბიან, არ ეძებენ მას. ისინი მიიდანს სამშობლოს დასაცავად, იქნებ სიკვდილზეც!“ შერცხვა თავისი ფიქრებისა და იწამა ახალი სამშობლო, სამშობლო მშრომელი ხალხისა და ჩაღება მის საშინაურში.

ბრძოლა გრძელდებოდა. ქვეყანას ლითონი სჭირდებოდა. იგი არ იყო. ფაბრიკა-ქარხნების ეშობები კი გროვად ეყარა დამსხვრეული დასეგები, დაეწავლი რკინა. რკინიგზებზე დაღწეული ორთქლავლები და იარაღი მიმობნეულიყო. ლენინმა მიიღო გადაწყვეტილება. პარტიის IX ყრილობამ მიიწინა მისი წინადადება და I მაისი გამოცხადდა სრულიად რუსეთის შაბათობად. ოპერატორები სამუშაოდ ემზადებიან. შაბათობა მოეწყო კრემლის ეშობიც. ხალხი ჭიანჭველებით შეესტია მიდამოებს, ერთ ადგილზე აგროვებდნენ ლითონის

ჯართს. შრომობდნენ რუსი ადამიანები, მათ მავალითს აძლევდა ბელადი. კრემლის ეშობი კინოპარტიკა დამატრებინა ლევიციის. იგი თვალებს არ უყურებს: მხრებით მიჰქეუ მძიმე მორი ორს. პირველი, რომელიც შეიწხო, ბონარ-ბრუეინი იყო, მეორე კი, გვერდზე მოქცეული ქუდი — ვ. ი. ლენინი, რომელიც შეუსვენებელი მუშაობდა, არავის იხმარებდა, სხვებს ამხვეციდა. ოპერატორი სხვადასხვა მხრიდან უვლიდა და იღებდა ამ ორ გამოჩენილ ადამიანს. აქვე მუშაობდა მიხეილ ილიანს-ძე კალინინი. იგი მორებს ხერხადა, ადვილად ასრულებდა ამ სამუშაოს. რამდენიმე კადრი მას დაუთმო ლევიციამ. ხოლო როდესაც ფაბრიკის ეშობი გადავიდა, მუშები მოაქცია ობიექტივში. იღებდა და თან ჰყვებოდა ნანახს. ამ უჯრეტებზე — თვითონ ვლადიმერ ილიანს-ძე ათრევდაო მოვრებს? არ უჯრეტებდნენ, მაგრამ ვინ იცის; მერამდენად აყოლებდნენ უკვე ზეპირად დასწავლილ ამაბავს. საინტერესო მასალა შექმნა გამოცდილმა ოპერატორმა, მაგრამ არც ეს ფირია დარჩენილი კრემლის არქივში.

ა. ლევიცია დიდი სიყვარულით გვიხატავს კალინინის სახეს. იგი მას პირადად გაეცნო აგიტმატარებელი მგზავრობის დროს. ნაყოფიერი იყო ოპერატორის ამ პერიოდის მუშაობაც. ამანაც გაამდიდრა რეჟოლეციური არქივი.

შემდეგ ისევ შესვედრები ლენინთან. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ლენინი, უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა კინოს და მფარველობას უწევდა მას. თვითონ იგი ვერ იტანდა პოზიტივობას და როგორც ლევიცია — ამბობს, არც შეიძლებოდა მისი სტატიკური მდგომარეობაში გადაღება; ვ. ი. ლენინი უნდა გადაედოთ მოძრაობაში, უნდა შეეჩიათ დრო, და მოემეტო. ამას მშვენივრად ახერხებდა შემოქმედი. მასვე გადაუღია ლენინისა და ანერკის მუშერ-გულენის პარტიის კადრები — სრისტიკოსონის შესვედრა კრემლში და ორივეს სახე მჭაფოდ გადაუტანა კინოფირზე. ამ ფირის უმეტესი ნაწილიც დაკარგულა.

ბოლო შესვედრა ლევიციისა ლენინთან იყო უკვე გორკამი, მაშინ, როდესაც ნათელ დარბაზში, ამალღებულ ადგილზე იდგა კუბო მისი ნეშტი. მიმე იყო ეს წუთები, მაგრამ მინც იღებდა ოპერატორი, იღებდა, რათა ესეც შემოეჩინა შოამომავლობისათვის... ყველგან, მთელს საბჭოთა ქვეყანაში, დედაბაბუას თუ ყრუ სოფლებში, ხალხი ემშვიდობებოდა ოქტომბრის დიდ შემოქმედს ლენინს, რომლის სახელიც საუკუნეებს გაჰყვება!

ასე მთავრდება ა. ა. ლევიციის წიგნი. მან 300-მდე ფილმი გადაიღო. მის ფილმებს ახასიათებს განსაკუთრებული გამომსახვრობითი სტილი. რუსულ რეალისტურ ფერწერაზე აღზრდილი, იგი ყოველთვის პოულობს შესაფერ სახეებს და ფერებს.

უხად სამსახურისათვის ლევიციის ხელმოწერის დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება მიანიჭეს. სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, კინემატოგრაფიის საკავშირო ინსტიტუტის უხუცესი პროფესორი, რუსული ოპერატორული სკოლის მამამთავარი ალექსანდრე ანდრეის-ძე ლევიცია განაგრძობს შემოქმედებით სახე ცხოვრებას.



საქართველოს

მხატვართა

მეექვსე

ყრილობა

ნ. კანდელაკი, ლ. გუდიაშვილი, ბ. იოვანსონი, (სსრკ მხატვართა კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარე) უ. ჯაფარიძე

19-20 მარტს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში მიმდინარეობდა საქართველოს მხატვართა VI ყრილობა.

ყრილობა მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა სსრ კავშირის სახალხო მხატვარმა საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის საპატიო თავმჯდომარემ უნა ჯაფარიძემ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა დ. გ. სტურუამ წაიკითხა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება რესპუბლიკის მხატვართა VI ყრილობისადმი.

ყრილობამ მოისმინა საქართველოს მხატ-



საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი — დ. გ. სტურუა

საქართველოს მხატვართა VI ყრილობის სხდომათა დარბაზში






ვართა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის თავმჯდომარის ზ. ლევას და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის თ. სამსონაძის მოხსენებები.

ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიდნენ კამათში გამოსულნი: თბილისის სახმატვრო აკადემიის რექტორი, საქართველოს სახალხო მხატვარი ა. ქუთათელაძე, საქ. მხატვართა კავშირის აფხაზეთის განყოფილების თავმჯდომარე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ნ. ეზბა, საქ. მხატვართა კავშირის ქუთაისის განყოფილების თავმჯდომარე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე

ვ. მიწანდარი, საქართველოს კულტურის სამინისტროს სახეითი ხელოვნების განყოფილების გამგე თ. კანდელაკი, საქ. მხატვართა კავშირის აჭარის განყოფილების თავმჯდომარე ლ. სეიდიშვილი, მხატვრები შ. დურგლიშვილი, ა. ბანჭალაძე, შ. ხოლუაშვილი, გ. დოღუჯოვი, მოქანდაკე მ. თაღაძე, რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი საქ. მხატვართა კავშირის ფერწერის სექციის თავმჯდომარე ვ. შერპილოვი, მოქანდაკეები: გ. ოჩიაური, რ. შეროზია, საქ. მხატვართა კავშირის კრიტიკის



ზ. ლევამე



ვ. მთხარი



ლ. სვიდიშვილი



ნ. ეშბა



კ. შერაბილაძე



ნ. მალახოვი

სსდომათა დარბაზში



და ხელოვნათმცოდნეობის სექციის თავმჯდომარე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ო. ევაძე, მოქანდაკე მ. ბერძენიშვილი, საქ. მხატვართა კავშირის თეატრალურ-დევორაციული ხელოვნების სექციის თავმჯდომარე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე დ. თავაძე, ქანდაკების სექციის თავმჯდომარე — ე. ამაშუაყელი, გრაფიკის სექციის თავმჯდომარე დ. ვაბაშვილი, ხელოვნათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი ვ. ბერიძე, მოქანდაკე გ. კორძაია, გამომცემლობა „სოცტექსტი ხუდოვნის“ რედაქტორი ნ. მალახოვი, საქართველოს სახალხო მხატვარი ნ. კანდელია, მხატვარი რ. თარხან-მოურავი.

სსრ კავშირის სახალხო მხატვარმა, სბჭოთა კავშირის სამხატვრო აკადემიის წევრმა, სსრ კავშირის მხატვართა კავშირის პირველმა მდივანმა ბ. იოვანოსმა საქართველოს მხატვრებს მოსკოველი კოლეგებისაგან გადასცა სალამი და დიდი შემოქმედებითი წარმატებანი უსურვა.

ურბილბს მივსალმენენ: საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი მდივანი პოეტ-აკადემიკოსი ი. აბაშიძე, უკრაინის მხატვართა სახელთი — ა. ხმელნიცი, ლტვიელი მხატვრების სახელთი — ვ. ოზოლი, საქ. თეატრალური საზოგადოების პრეზიდენტის თავმჯდომარე, რესპუბლიკის სახალხო არტისტი დ. ანთაძე, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მეომართა სახელთი პოლკოვნიკი პ. გრიშინი, ლტვის მხატვართა სახელთი — ლტვის სსრ მხატვართა კავშირის პირველი მდივანი ი. კუზნიშუსი, ესტონეთის მხატვართა სახელთი — ი. ოულა, საქ. უმაღლესი საბჭოს დეპუტატი შ. ფირუზაღვა, სომხეთის მხატვართა კავშირის თავმჯდომარე, სომხეთის სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე პ. პარსამიანი, საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის სახელთი — რესპუბლიკის სახალხო არტის-

ე. ბერიძე, ბ. ქლენტი



დ. გაბაშვილი

ტი ს. დოლიძე, რესპუბლიკის არქიტექტორთა კავშირის სახელით — საქართველოს არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარე, ქალაქ თბილისის მთავარი არქიტექტორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ი. ჩხენკელი.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდნენ ამხანაგები შ. ი. კუპავა, ვ. პ. მუჯანაძე, პ. ა. როდიონოვი, დ. გ. სტურუა, ა. ტ. სტურენკო, ვ. ს. ძოწენიძე, შ. ი. ქანუყვაძე, გ. ი. ჩოგვაძე, რ. ი. ფრუძე, ო. ე. ჩერქეზია, ა. ნ. ინაური, შ. ა. დოლიძე.

საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის პირველმა პლენუმმა აირჩია გამგეობის პრეზიდიუმი.


საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის საბათო თავმჯდომარედ არჩეულია სსრ კავშირის სახალხო მხატვარი უ რ ა ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, გამგეობის თავმჯდომარედ — ლ ე წ ა ვ ა, თავმჯდომარის მოადგილეებად — თ. მ ე ძ მ ა რ ი ა შ ვ ი ლ ი და თ. ლ ვ ი ნ ი ა შ ვ ი ლ ი. სარევიზო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია შ. შ ი ქ ა ტ ა ძ ე.



ე. ამოსკვილი



ი. ჩხენკელი



თ ე ე ე ბ ი ლ ა ს ა ხ ე ე ბ ი

შთაბამილითაგან რასაუბლიკური სამხატვრო გამოფენიდან
„მშვიდობის საღარაჯოზე“

(ფერწერა, გრაფიკა)

ლეილა თაბუკაშვილი



იღ სამამულო ომში გამარჯვების ოცი წლისთავს უძღვნეს ქართველმა მხატვრებმა თავიანთი ახალი ქმნილებები, რომლის მთავარი გმირია ადამიანი — მებრძოლი, ადამიანი-შემოქმედი, ბედნიერების, სამართლიანობისა და მშვიდობიანი ცხოვრებისაკენ მსწრაფი.

„მშვიდობის საღარაჯოზე“ — ასეთი თემატიკა, უფრო სწორედ ასეთი სულისკვეთება აერთიანებს ჩვენი მხატვრების ამ მრავალრიცხოვან ნამუშევრებს. ცალმხრივად თუ მიჯედგებით თვით თემატურ მიზანდასახულებას, ერთი შესვლით შეიძლება ის ერთგვარად შეხლუდული მოგვეჩვენოს. მაგ-

რამ მხოლოდ ერთი შესვლით, ვინაიდან იბრძოდ მშვიდობისათვის, იდგე, როგორც შემოქმედი, მშვიდობის საღარაჯოზე — ეს ნიშნავს იბრძოდ ადამიანის სიცოცხლისათვის მისი კეთილდღეობისათვის. ეს დიდი მისია კი ჭეშმარიტ ხელოვნებას მუდამ ქონდა და მარად ექნება. ამიტომ ამჯერადაც განუსაზღვრელი იყო ასპარეზი მხატვართა შემოქმედებითი ჩანაფიქრისათვის, ამ თემის მრავალფეროვანი ტრაქტოკისათვის; განუსაზღვრელი იყო იმდენად, რამდენადაც ამოუწურავია ადამიანის კეთილშობილური მიზანსწრაფვანი, განუსაზღვრელია მისი გმირული შემართება და მოყვასისადმი, სამშობლოსადმი სიყვარული, რთული და გარკვეულად თვითმყოფადია მისი სულიერი სამყარო. ხელოვნებაში ამ სახეების წარმოსახვისას მხატვრის გამარჯვებას თუ მარცხს ჩვეულებრივ განაპირობებს, უპირველეს ყოვლისა, მისი იდეური ჩანაფიქრი და ამ ჩანაფიქრის შესატყვისი მხატვრული ფორმის მიგნება-უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, ერთიან-თემა და მეორეა — მისი იდეური ინტერპრეტაცია. მსგავს თემაზე ხშირად ხარისხობრივად სრულიად განსხვავებული ნაწარმოებები იქმნება და ამის მაგალითები ამ გამოფენაზეც ცოტა როდია. თუ რადენად მახვილად, ახალი კუთხით გახს-

ნის მხატვარი თემას, რამდენად მოულოდნელად და ამავე დროს უბრალოდ, ადამიანურად, გარეგნული სახვითი ეფექტის გარეშე იტყვის სათქმელს, ამაზე დამოკიდებულია ნაწარმოების ეტიკური გამოხატულება. სათქმელად, რასაკვირველია, ეს ადვილია, მაგრამ რამდენი ფიქრი, შინაგანი განცდა, შემოქმედებითი სისარული თუ ტკივილია დაკავშირებული ყოველივე ამასთან, და თუ ამ გამოფენაზე ბევრი ნაწარმოები მიივს გულგრილს გეტოვებს, ამის მიზეზად ვერ ვახსენებთ თვით მხატვარია უსიყვარული, განუცდელი დამოკიდებულებას თავისი ნაწარმოების მიმართ. შემოქმედებითის წარმატებას თუ წარუმატებლობას, რა თქმა უნდა, მრავალი ფაქტორი განაპირობებს და ამის აღნიშვნა აქ ზედმეტად მივჯანბნა. ტალანტი, ნიჭიერება სწორად იჩვენალება საქმიანდმი ხელოსნური დამოკიდებულების დროს, და პირიქით, შთაბრუნებლ შრომასა და ძიებას სწორად გამარჯვება მოაქვს თვით დამწყები მხატვრისათვის, რომელსაც ცხოვრების გამოცდილება ნაკლები აქვს და პროფესიული. ამიტომაც გასაკვირა აქ მონაწილე ზოგიერთი დემობილანტი, ამ შედარებით ახალგაზრდა მხატვრის წარმატება, და გულსატკეპია უფერული გამოსვლა ზოგი ავტორისა, რომელთა შემოქმედებითს შესაძლებლობებს ჩვენ ყველანი კარგად ვიცნობთ. როგორც აღინიშნა, თვით ბევრი ის ნამუშევარი, რომლებსაც ამა თუ იმ ავტორის წინააღმდეგულ ნაბიჯად ვერ მივიჩნევთ, როდესაც თავისთავად ცუდად, არამხატვრულად შესრულებული. თითქმის ვერ უსაყვადებდ მხატვრებს პროფესიულ უსუსურობას ან გარეგნული ეფექტების გზით სიარული, მაგრამ ფაქტია, რომ გამოფენაზე მიივს გვხვდება ნამუშევრები, რომლებიც მრავალგზის ნახულ მოგვაგონებს, ან იმეორებს ერთხელ უკვე ნათქვამს მცირედებით რედაქციით. ეს არც არის გასაკვირი. თვალსაჩინო გამარჯვება იოლად და სწორად არ მოდის. ამ გამოფენაზეც მეტ-ნაკლები მხატვრული სიძლიერით ქმნილებები ვიხილეთ. მაგრამ საერთო მხატვრული დონის ეს გამოფენა მანაც უფრო მაღლა დგას ახლო წარსულის გამოფენებთან შედარებით.

მხატვარია ერთმა ნაწილმა, ვიჭირობ, ვერ მიაკვლია კონკრეტულ სიუჟეტში ან სახეში მხატვრული იდეის საინტერესოდ, ამაღლებულად გახსნის გზას. ადამიანის სიცოცხლის თემა, ომის საშინელი შედეგები და მის წინააღმდეგ შეკრები პროტესტი — მკაფიო პლასტიკურ სახეებში ხორციელსმისა იხილეს. ახალს ვერაფერი ვიტყვი, თუ აღვნიშნავთ, რომ ხელოვნება მოწოდებულია აღზარდოს ადამიანი, თავისი საპეიფიკური საშუალებებით მოეხმაროს მას გაიცნოს ცხოვრება მის ყველაზე უშვენიერეს გამოვლინებებში და ამით ამაღლოს იგი სულიერად, დაანახოს მას ის, რასაც შეიძლება იგი ცხოვრებაში გვერდს უვლიდეს და ადვილად როდი ამჩნევდეს, სადაც შეეხოს უბრალო, რივითი ადამიანის სულის სიმს და დააკვიროს იმაზე, რაზეც შესაძლოა, იგი აქამდე არ დაკვირებულა.

საქმე იმაშია, რომ ომისა და მასთან დაკავშირებით ადამიანთა ბედის სახეებში ჩვენების ამოცანას მხატვრები უსწავლობენ გზით დაკვირვებ. ერთში — თვით ადამიანის ცხოვლოვითი სახის გამოკვეთით, მეორეში — ომის ეპიზოდების ილუსტრირების გზით, შესაძენი — მშვიდობისათვის ბრძო-

ლის თემაზე ამა თუ იმ სიუჟეტის კეთილსინდისიერი თხრობით. ეს მეორე და მესამე გზა შედარებით იოლი და საკმაოდ არაორიგინალურია, თუმცა იგი არ უშლის ხელს მხატვარს გამოავლინოს წმინდა სახვითი, პროფესიული სტატობა და ამ გზით შექმნას საკმაოდ შთაბეჭედავი სურათი. მაგრამ, სწორ შემთხვევაში, ასეთ სურათზე ვიტყვი: კარგია, მაგრამ, არცააღივებს. ასეთი ნაწარმოებები კი საკმაოდ მრავალრიცხოვანია გამოფენაზე და საილუსტრაციოდ გამოგადგება შედარებით ანაღივის დროს.

სწორი და საინტერესო გზა აირჩია მხატვარია იმ ნაწილმა, რომელმაც თავი არიდა თხრობასა და ილუსტრირებას, შეეცადა ეჩვენებია ადამიანის — გმირის დაბადება, ეჩვენებია ომის კვალი მის სულიერ მდგომარეობაში, წუთიერ მომენტებში, სახეები გაეხსნა გარკვეული განწყობილების შექმნა, ყოველგვარი გარეგნული სიუჟეტური დამატებების გარეშე. ამ გამოფენის წარმატებას სწორედ ის ნამუშევრები განსაზღვრავენ, რომელთა ავტორები არა პირდაპირ, პლაკატურად გვიჩვენებენ ომის საშინელებებს, არამედ ფართოდ განსვავად ეხმარებიან კონკრეტულ სახეებში ღრმად აქსოვენ ამ აზრს. მაგალისათვის ავიღოთ ორი ტილო: რადიშ თორდაის „ერთი ერთზე“ და ზელიმიან გოგოლაშვილის „ბრძოლის ველზე ერთივე მომონია“. ორივე სურათზე ომის ეპიზოდია ასახული, მაგრამ რაოდენ განსხვავებულად. ზელიმიან გოგოლაშვილის სურათი მოვლადონებს დოკუმენტური კინოს კადრს — აქ ყველაფერია — აღმოჩენილი მიდამო, მტრის ჩამოფენილი თვითშფინავი, დატრილი და ბრძოლაში ჩაბმული არტილერიისტიკ... სურათი დაწერილია ემოციურად, გრძობით, რომ მხატვარს ემორჩილება ფუნჯი, კარგად იმარჯვებს კომპოზიციურ ხერხებს, მაგრამ სათქმელი ამით ამოიწურა. მხატვარმა ილუსტრაციულად, მაგრამ არა ამაღლებველი მხატვრული სიმაღლით, დაგვიხატა ომის ერთ-ერთი ეპიზოდი.

რადიშ თორდაის სურათზე ცოცხალი ადამიანია. ეს ის ადამიანია — გმირია, რომელიც სურლიად შეგნებულად და გააზრებულად თავის სიცოცხლის ფასად სჭედდა სასტიკ ომში გამარჯვებას. ასეთ ადამიანს გინდა დააკვირდე; აი, როგორი იყვნენ ისინი, უბრალო, შეუმჩნეველი, მაგრამ უკანდასუხვევლინი სიკვდილის წინაშე, როცა ეს საშობლობს ბედ-იღბალს ესებოდა. თორდაის სურათზე არაფერია ტანკის ფრაგმენტისა და მრისხანე მანქანის წინაშე შემართული პარტიზანი ქალის გარდა, მაგრამ ამ ქალში ამოიკნობა მრავალი მრავალთავანი. ანებტაი თოვლის ფონზე მკაფიოდ იკვეთება მისი ფიგურა. მუქი და ნათელი ლაქების კონტრასტით მხატვარი ძალზე ლაკონურად წყვეტს მხატვრულ ამოცანას — ყოველგვარი ზედმეტი ფაქტორული ამოწერისა და ფორმათა ნიუანსების გარეშე. მისთვის მთავარია საერთო სილუეტი, ხასიათი. თორდაის მიერ შექმნილი პარტიზანი ქალის ეს სახე მხატვრული სიმაღლით გვიხატავს გარდასულ დღეთა გმირებს.

კიდევ ორი ტილო მსგავს თემაზე: შველიძის — „მოგონება“ და ალექსი გიგოლაშვილის — „უნიტის ვარისკაცის საფლავთან“. ორივე სურათის იდეური შინაარსი თანაბრად მებრძოლთა სხონის პატივისცემა. ძალზე ფაქიზი დღეა და ასევე ფაქიზ მიდგომას ითხოვს პლასტიკური წარმოსახვისას. გი-



ნოდარ მალაზონია

დილა მშვიდობისა

მთავორიანი შორი პლანიდან ცივი და თბილი: ლაქების უს
შესამება ქმნის რაღაც გარკვეულ, სიმშვიდითა და დიდებუ-
ლებით მოცულ ატმოსფეროს. შევლიძე მკაფიოდ ინდივიდუ-
ალიზებულიად როდი ხატავს ჯარისკაცთა სახეებს, არამედ იძ-
ღვება ზოგად ტიპებს. ეს ჩანს მათი დღომის რიტმში, ფიგურ-
ათა ნახატის ერთგვაროვან პლასტიკურ მონაზნაში. უფრო
ინდივიდუალიზებულია მოხუცი მამისა და ძმის სახეები. ერე-
ლიძის ტილის გამომსახველობა და პოეტურობა მის ერთგ-
ულ ფორმაშიცაა, ქართულ ხასიათებში, კოლორიტში.

თუ რამდენად განსხვავებულ ნაწარმოებს იძლევა მხატ-
ვართა სხვადასხვა მიდგომა ერთიადიგივე თემის, სიუჟეტის
ტრაქტოვების დროს ამის თვალსაჩინო მაგალითად გამოვად-
გებთ აქ წარმოდგენილი სხვა ნაწარმოებებიც, კერძოდ ორი
ისევე ფერწერის ნიმუშებიდან, ერთი — გრაფიკიდან. ეს არის ალ-
ბერტ დილბარიანის „საწუქრები ფრონტს“, რუსულან ჯაფრი-
შვილის — „ჯარისკაცის მისამართზე“, ნატალია ფალავან-
დიშვილის — „ფრონტისათვის“. სამივე ნაწარმოებზე გვ-
დავთ ადამიანების ზრუნვას ფრონტზე წასულთათვის, მაგ-
რამ ვხედავთ სულ სხვადასხვანაირად. პირველი ორი მხატვარ-
ი ამას უმოგვიხიბობს საკმაოდ გულგრილად, ისე როგორც
ადამიანები ერთმანეთს მოუხიბობენ ხოლმე ჩრამე უმნიშვნე-
ლო ფაქტზე, ისე, უბრალოდ — ფაქტის აღნიშვნის წესით.
დილბარიანის სურათში ჩანს, რომ მხატვარი არა თვით შინა-
არის არსიდან ამოდის მხატვრული ფორმის მოძებნისას,
არამედ, უპირველეს ყოვლისა, ეძებს თავისთავად ლამაზ ფერ-
წერულ გადაწყვეტას. იგი ნაკლებად გეგმავს ამ ადამიანე-
ბის სულდორ მდგომარეობას. იმას თუ არ ამოძრავებთ აქ
თავშეყრილებს. ქალების სახეები საკმაოდ სქემატურია, სა-
მაგიეროდ მთავარი აქცენტები გადატანილია ფერადივან შესხ-
ამებებზე, ფერთა ლამაზ დაპირისპირებებზე. ამიტომაც სურ-
ათი ერთი შესხედით სასაბოთნო შთაბეჭდილებას ტოვებს,
მაგრამ მთავარი, რისთვისაც უნდა დაეწერა იგი მხატვარს და
რაც ჩვენ გრძნობებს გამოიხმეაურებოდა — ეს ცოტაა. ასევე
რუსულან ჯაფრიშვილის ტილო — კარგი ფერწერული, გაწ-
რული ხასიათის ნაწარმოები. მასზე ვხედავთ სოფლის უსოში
მოფუფუსე დედასა და შვილებს, რომლებიც გატაცებით
ალაგებენ მამისათვის გასაგზავნ ამანათს. ნაწარმოები ასე-
ვე, არა სახეების, არამედ თხრობის ხერხითაა გადაწყვეტილი-
ამით იმის თქმა როდი გესურს, რომ სურათის ამგვარი გააზ-
რება არ არის მიზანშეწონილი, მაგრამ, ვფიქრობთ, მხატვარი
უნდა წავიხედო ნაწარმოების იდეური შინაარსის გაღრმავების
გზით, როცა ეს შინაარსი თავისთავად უფრო მნიშვნელოვან-
ია და უფრო სახიერ ასახავს ითხროვს.

გოლაშვილიმა, ვფიქრობთ, ვერ მონახა გასაღები სიტუაციის
ამაღელვებლად გადმოცემისთვის. მისი სურათის პერსონაჟე-
ბის ფსიქოლოგიური სახეები, თვით მთელი გარემო ამ სურათ-
ისა ვერ ქმნის საამისოდ საჭირო განწყობილებას. პლენერ-
ზე მშენივარდ არის დაწერილი მზით გასხივისნებული სამი
ახალგაზრდის ფიგურა, რომლებსაც გარკვეული ემოციაც აღ-
ბეჭდილია სახეებზე, მაგრამ სურათს რომ არ ეწეროს „უცნობი
ჯარისკაცის საფლავთან“, შეიძლება ვერც გვეგულისხმას, რომ
რაღაც მნიშვნელოვანმა შეძრა ამ ადამიანების გრძნობა. იმის
გამო, რომ ნაწარმოებში ვერ არის მიღწეული თემის შესატ-
ყვისი აღმუქატური განწყობილება, იგი იკითხება როგორც
უბრალო ყოფითი ქანრული სურათი.

შევლიძის ტილის წარწერა არც ჭირდება. აქ ყველაფერ-
ი — ფერადივან წყობა, ნახატის რიტმი, პერსონაჟთა
ფსიქოლოგიური დახასიათება მიმართულია ადამიანის ღრმად
ადამიანურად გამოსახატავად. ფხვზე მდგომი სამი ახალგაზ-
რდა ჯარისკაცის, მოხუცი მამის და ალბათ ძმის, ფიგურებში,
ღვინით სასუქ ჭიქებში მათ გაწვდილ ხელებში იხატება სვე-
ლაც, მოწიწება და თავყანისცმაც მათგან წასული ადამიან-
ის მიმართ. ეს არის დიდებული წუთები, წუთები, რომლე-
ბიც გავგრძნობინებენ, რომ დავიწყების ბურუსი არასოდეს
ფარავს ჭეშმარიტ ადამიანურ სიყვარულს, რომ მოგონების
წუთებში ცოცხლდებიან ძვირფასი სახეები. ისინი აქ არიან,
მათთან ერთად... მხატვარი ჩრდილში ათავსებს და რამდენ-
ადმე სილუეტურად გამოჰყოფს ფიგურებს მზით განათებული

ამ შემთხვევაში იგივე იდეური შინაარსი სულ სხვაგვარად
აქედრდა ნატალია ფალავანდიშვილის კომპოზიციამ, რომ-
მელიც ტემპერის საღვანებოთა შესრულებული. აქ მხატვარ-
ისათვის მთავარია არა თვით ფაქტის მოტანა, არამედ გარკვე-
ული ინტიმის, სითბოს დამყარება მაცურებელსა და სურათის
პერსონაჟებს შორის. მხატვრისათვის არსებითია ნაწყობი-
ლებების შექმნა, რისკენაც იგი მიდის სახიერების, ტიპიზაციის
გზით. ფიგურათა კომპოზიციური განლაგება, მოძრაობა, ქა-
ლების ჯდომის ხასიათი, მიოღ ეს გარემო რაღაც სვედინასა
და ამავე დროს ადამიანების ერთმანეთისადმი სიყვარულის

ატმოსფეროს გადაგვიშლის. სადა შავ ტანსაცმელში მოსილი სოფლის ქალები, მკაცრად თავშეკავებული, მოვერცხლისფრო გამჭვირვალე ტონებში გადაწყვეტილი მთელი სურათი დამახასიათებელი სახლებით, ორღობეებითა და გზებით ასე ნაცნობი და ასე მახლობელია. მახლობელი და გასაგებია ჩვენთვის ამ ქალების დაუღალავი შრომაც, რომელშიც ისინი აქსოვენ იმდსა და სადაღაც მაინც ხედავენ ხსნას, პატარა წვლილით დიდი საქმის დასაგვირგვინებლად რომ იღვივან.

ფიქტობ, არ არის ორიგინალური და მეტყველი ხერხი ომის საშინელების პლაკატური ჩვენება, როგორც ამას იური მეტეაბიშვილის სურათზე — „სიძულვილი“ ვხედავთ. საკმაოდ გაცვიდა ომის სახის ამგვარი გამოსატვა — დანგრეული ქალაქებით და გაძვალტყავებული ადამიანებით. ადამიანთა წარმოდგენაში ისედაც ასეთია ომი და მხატვარი ამით ახალს ვერაფერს გვეუბნება. მისი სურათი გაძრწუნებს, მაგრამ ვერ შეგანერებს მის წინაშე, ვერაფერზე დაგაფიქრებს. იქვეა ნოდარ მაღაზონიას პეისაჟური სურათი „დილა მშვიდობისა“. ჩვენს თვალწინ იშლება უსაზღვრო ყაშირი დილის რიყარაქის შუქზე. მშვიდობიანი, ბარკაინი მიწის პოეტური სახე მოგვცა მხატვარმა, მიწისა, რომელიც საწყისი და წყაროა ყოველგვარი ცოცხალისათვის, და ეს ყაშირი დახატულია არა მარტო როგორც სიმბოლო სიცოცხლისა, არამედ თავისი მიწიერი მშვენიერებითაც, რომელსაც მხოლოდ მხატვრის თვალი თუ დაინახავს და გადმოსცემს. მშვიდობიანი მიწის ამ ამაღლებულ პოეტურ წარმოსახვაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს პატარა დეტალი — შირის ცაში მოსრიალე თვითმფრინავი, ადამიანის სიხარულის კვალს რომ ტოვებს პაერში, მშვიდობიანი დილის მისი აღტაცების კვალს...

მხატვრული სახეებით შემოქმედმა უნდა შეგვაცყვაროს ცხოვრება, უფრო ღრმად და მკაფიოდ დაგვანახოს ის, რასაც ჩვენ ცხოვრებაში ადვილად ვერ ვამჩნევთ, ზერეულად აღვიქვამთ. ამაშია ხელოვნების ძალა და მისი შეგავლენა ადამიანზე. ამიტომაც ასე ფასდება დღეს ხელოვნება ჩვენში და ამიტომ უყვარს იგი ხალხს. მხატვრის შრომა ძალზე ფაქიზი და რთულია. ფაქიზი მიდგომა უნდა მისი ნაშრომის შეფასებასაც, ნაშრომი კი ზოგჯერ არ გამოდის, იგი ვერ ცილდება საშუალო დონეს და გულისტკივილი მოაქვს თვით შემოქმედისათვისაც და ფართო მაცურებლისთვისაც.

ომის ჭრილობები მართალი, განზოგადებული სახეებით დაგვიხატეს თავიანთ ტილოებში ნანა მესხიძემ — „მამა“, მამია ახოზაძემ — „ომის ტრაგედია“, ზურაბ სამხარაძემ — „გაცილება“, ჯამბუ ცინდელანმა — „ბაბუსა იმედი“, თენგიზ მირზაშვილმა — „საქართველოს სამეფრო გზაზე“ და სხვ. ეს ნაწარმოებები ბევრად უფრო მეტს და ბევრად უფრო მძაფრად ამბობენ სათქმელს, ვიდრე ომის საშინელების პირდაპირი წარმოსახვა აწიოკებული ადამიანებითა და ღია ჭრილობებით.

უმათოდ დარჩენილი ბავშვების სახეები ძალზე სათუთად და მახვილად გამოძერწა ნანა მესხიძემ. პატარა და-ძმის ფიგურები აღსავსეა სურვილით — ნახატში აღბეჭდონ შირის წასული მამის გამოსახულება...

ვაქცაცი შვილების დამკარგავი მოხუცი მშობლების და მათი პატარა შვილიშვილის ძალზე თბილი და ცოცხალი სა-



ნატალია ფალაენიძის შვილი

ლურთისათვის

სოფლის პეისაჟი




სვეტი მოგვცა მამია ახობაძემ. საამისოდ მხატვარი როდი მიმართავს რაიმე უწყველ კომპოზიციურ ხერხებს. იგი ფრონტალურად, მრავალპლანაინობის გარეშე სწყვეტს მას. მაყურებელთან პირდაპირ არიან გამოსატლული სურათის პერსონაჟები, ისინი სვედიანად და მოკრძალებით გვიმხერენ, თითქოს ამ უტყვე მხერაში სურთ ჩაქაქოფონ სათქმელი მძიმე ხედვრზე, გამწვრებულ სიბერეზე. ფერთი მეტყველებით ახობაძე როდი უსვამს ხას ამბის ტრაგიზმს; სურათის ფერადოვანი ძღვერადობა თავშეგაპეუბლია და რბილი, არის მასში ოპტიმისტური და სვედიანი ნოტებიც. ეს ისტაქება მოხუცი ქალისა და ბიჭუნას მუქი სამოსით, ნაწარმოების ცალკეული ნათელი დეტალებით. ტრაგიზმი და სვედა უფრო მეტად გამოსჭვივის ჯამზე ცინდელანის სურათში „ბაბუს იმედი“, რომლის გამომსახველობა მის ღრმა პოეტურობაშია. მუქი და გამჭვირვალე მოლურჯო კოლორისტული გამა, ბაბუსა და შვილიშვილის ფიგურების ნათელი და ციფე ტონების ფერადოვანი აქცენტებით, ძალზე თავისებურ ძღვერადობას აძღვეს ნაწარმოებს.

ჭაბუკების ომში წასვლით გამოწვეული შეძრწუნება კარგად გადმოსცა ზურაბ სამხრატემ სურათში — „გაცილება“. გოგონების ამ მრავალრიცხოვან ფიგურებში მხატვარმა ფაქტიურად ერთი სახე წარმოხსნა — ზოგადი სახე ახალგაზრდა ქალიშვილისა, რომელსაც, შესაძლოა, პირველი დიდი გულისტკივლი ელის ცხოვრებაში საყვარელი ადამიანის წინაშე მდგომი საფრთხის გამო. გოგონების მოხდენილი ფიგურების ერთგვაროვანი პლასტიკური ნახატი ერთი მუხედვით ეპიზოდს თითქოს უკარგავს რეალისტურ დამაჯერებლობას, მაგრამ მეორე გზით წასვლა — თხრობის პლანში სურათი

ნატალია ფალავანიშვილი

ფეაქეთში



თის გადაწყვეტა, ფიგურათა ინდივიდუალიზება ნაწარმოებს უმჯველად ვაზრულ ელფერს მისცემდა და დაუკარგავდა მისთვის აუცილებელ ამ ტრაგიზმს.

მეტყველი პოეტური ტილოა გივი ნარმანიას „დაბრუნება“. მხატვარი შორიდან გვიჩვენებს ამაღლებულ სცენას. სურათის ემოციურობას დიდად განსაზღვრავს გარემო — პენსაჟი, რომელიც ასე სათუთად გაუაზრებია მხატვარს და სილიერებს ადამიანების შეხვედრის სითბოს, სისარულსა და ახილავს.

ამ ტილოებმა განსაკუთრებით მოახდინა შთაბეჭდილება უბრალო ადამიანისადმი მხატვართა ღრმა ინტერესით, მისი ტრაგიკული მხარისა და სისარულის გადმოცემის დიდი სურვილით. არა ვარგუნული მოჩვენებითი დრამატიზმით, არამედ შინაგანი სიმართლით და სისადაკით გამოირჩევიან ეს სურათები და სწორედ ამასში მათი მხატვრული გამომსახველობის ძალა. ამ თვალსაზრისით ძალით სანტერესოა გურამ გელოვანის ახალი ფერწერული სურათი „დეშვილი გულის ოჯახი“. ამ ტილოზე უკვე დღევანდელი ადამიანებია, ჩვენს დევრდით მყოფნი, რიგითი შრომელები, მოკრძალებული და უხმატრონი თავიანთი და შრომის საძქეიანობაში. სულიერი და ფიზიკური სიჯანსაღით გამოირჩევა ახალგაზრდა ცოლ-ქმარი, მკაფიოდ ინდივიდუალიზებული მათი სახეები შინაგან კეთილშობილებას და სისუფთავებს გამოხატავს. ძალზე მეტყველია პატარა გოგონას ფიგურა, ბავშვისათვის ასე დამახასიათებელი დღომის მანერით. გურამ გელოვანს ვიცილობ რომ გოც მონუმენტური განხრის საინტერესო მხატვარს, მაგრამ ახალ სურათში, რომელიც გამოირჩევა კომპოზიციური და ფერწერული სახიერებით, მან კიდევ უფრო სრულყოფილად გამოავლინა თავისი შემოქმედებითი პოეტურობა და მხატვრული სახეობრივი აზროვნების სიღრმე.

თუმცა განსაკუთრებით საინტერესო და ორიგინალური ნაწარმოებია არ ხასიათდება გამოფენის „შვიდობის სადარაჯოზე“ რიგი ტილოები, მაგრამ ისინი გამოირჩევიან ფერწერული ღირსებებით, შესრულების ოსტატობით. ასეთია დავით გაბიტაშვილის „დაუპატივებელი სტუმარი“, ჯანი მეძვარიაშვილის „ავრორას მოწოდება“, გიორგი კალანდაძის „დაუპყრობილი“, ჯემალ მირზაშვილის „ისინი იბრძოდნენ სევას ტპოლისათვის“, ლევან ბაიაჩხვიის „გემის აბარუნება“, ნიკოლოზ მინასაროვი-იოსელიანის „მარშზე“, ვახტანგ ადგაძის „დილა საზღვარზე“ და სხვ.

მხატვართა შორის ხშირად კამათობენ იმის შესახებ, რომ ამა თუ იმ ავტორის ტილოს დაკარგული აქვს დაზვერი ფერწერის სპეციფიკა, რომ ის არ არის „დაწერილი“, ამასთან გამოყენებულია გრაფიკული ხერხები და საშუალებები. მხატვართა (და არა მარტო მხატვართა) ერთი ნაწილი გულისწერობას გამოთქვამს, რომ იკარგება ფერწერა, როგორც ასეთი, და რომ იშლება საზღვარი ფერწერულ და გრაფიკულ ნამუშევრებს შორის. რას გულისხმობს, ზოგის აზრით, ფერწერის ეს სპეციფიკა, რომელიც ამეგამდ ქართულ მხატვრობაში კრიზისის პირას მივიდა თურმე? ფერწერა რომ ფერების ენაზე მეტყველებას გულისხმობს ეს ელემენტარულია და არც საუკუნეების წინათ, არც ახლა არაინ ფიქრობს დაეჭვდეს ამ ჭეშმარიტებაში. მაგრამ ფერების ენით ლაპარაკობს გრა-

ფიკაც, თუმცა გრაფიკას აქვს უფრო სპეციფიკური ენა—სუფთა ხაზის, ნახატის ენაც და ასევე მკაფიოდ სპეციფიკური, ასახვის პირობითი საშუალებანი. თვით დაყოფა ამ დარგებისა რაღაც ერთ ნაწილში ასევე პირობითია, რამდენადაც ფერწერის და გრაფიკის ნაწარმოებებს შორის საზღვარს აჩენს არა ამა თუ იმ დარგისათვის უფრო სპეციფიკური ხერხები, არამედ მასალა, რაშიც არის ნაწარმოები განხორციელებული. მაგალითად, წმინდა ფერწერული ხერხებით (ფერადოვანი ნიუანსების სიმდიდრე, მონასმების პასტოზურობა, ფორმათა რბილი მოდელირება) აკვარელით ან სხვა წყლის საღებავებით ქალაქდზე შესრულებული ნაწარმოები გრაფიკის სფეროს მიეკუთვნება. მაგრამ არ არსებობს დაზგური ფერწერული ნაწარმოები შესრულებული მხოლოდ ორ ფერში (ფერებით წერის თუნდაც ტექნიკური ხერხების გამოყენებით), რამდენადაც ეს პირობითობა მხოლოდ გრაფიკის სპეციფიკას შეადგენს. ფერწერის ისტორიის დასაწყისიდან დღემდე თვითუფილ მხატვარი თავისებურად მეტყველებს ფერწერის ენაზე, სულ სხვადასხვა ტექნიკური ხერხებითა და საშუალებებით; თავისი ხერხები ქონდა კლასიკურ ფერწერას, სულ სხვა ხერხები — იმპრესიონიზმს. მაგრამ მხატვრები — ერთნიც და მეორენიც იყვნენ ფერმწერლები. ფერმწერალია პეროვიც და ფერმწერალია არხიპოვიც. მაგრამ რა საერთოა მათ მხატვრულ ხედვასა და შესრულების ტექნიკურ ხერხებს შორის. ავიღოთ თუნდაც დაგით კაკაბაძე — ფერმწერალი და ალექსანდრე ციმაკურიძე. მივიჩნიოთ ალექსანდრე ციმაკურიძე ჭეშმარიტ ფერმწერალ მხატვრად (სპეციფიკის ვიწრო გაგებით) და დ. კაკაბაძე არა იმიტომ, რომ მის ფერწერაში ბევრია დეკორატიული და წმინდა გრაფიკული ელემენტები? რატომ დადგა დღეს საკითხი ისე, თითქოს ქართული ფერწერა ამტამად განსაკუთრებული საშრობების წინაშე იმით, რომ ტილოებში გაჩნდა ხაზები (დღეს გაჩნდა?), სიმბოლური ლაქები და სხვა გრაფიკული ხერხები. აქ არ გამოვადგება ნიშნად ამ გამოფენის აშკარად სუსტი ნაწარმოებები, რომლებშიც ავტორებმა ვერ მიაღწიეს ვერც ფერწერულ, ვერც გრაფიკულ და ვერც დეკორატიულ მეტყველებას, მაგრამ ნამდვილად მაღალმხატვრულ ქმნილებებში ეს გრაფიკული ხერხები ორგანიულია, ე. ი. იგი კი არ იკითხება თავისთავად ცალკე, როგორც გრაფიკისაგან ნასესხები საშუალება, არამედ შეწვეულია ფერწერულში და გამიზნულია პლასტიკური მკაფიოებისათვის. ვიბრძოლოთ სხვადასხვა სახითი საშუალებების გამოყენების წინააღმდეგ ფერწერაში, ეს ნიშნავს გაუადრებით ეს საშუალებები, უბოძლისოდაც არ არსებობს ან დაზგური და მითუმეტეს მონუმენტური ფერწერა — ნათელი მოცულობებისა და ფორმების მხატვრობა. სხვათაშორის მონუმენტური, პირობით — დეკორატიული დაზგური ნაწარმოებების მიმართაც ისმის ხოლმე მკაცრი განაჩენი: ეს არ არის სპეციფიკური! მაგრამ ვინ აკრძალა ფერწერის ამ სახეობის კანონიერება? განა დეინეკას ვინმე დაუწუნებს ფერწერის და ურჩევს დამსკავასის, ვთქვით, იოგან-სონს, რადგანაც იგი თითქოს სპეციფიკურად უფრო ფერმწერაა? თავისთავად ამ „სპეციფიკის“ გაგება, ჩანს, საზღვრავს ფერწერის ხელოვნების ჩარჩოებს და ერთგვარ „რეკლამს“ წარმოშობს მისი ბუნების შესანარჩუნებლად. მაგრამ



გივი ნარმანია

ლაბრუნება

ასეთი „რეკლამი“ არც აქამდე არსებულა და არც შემდგომი იარაღებებს. საჭიროა მხოლოდ დანახვა იმისა, რამდენად ლოგიკურად იყენებს მხატვარი სახვით საშუალებებს და რაში ეხმარება ამ უშლის იგი ხელს სურის გამოსატყვის დროს. სახვითი ხელოვნების ასახვის საშუალებებიდან ყველაფერი სპეციფიკურია, თუ კი იგი მხატვრული ჩანაფიქრის გამოხატვის ემსახურება, მაგრამ ესა თუ ის ხერხი არასპეციფიკურად იქცევა ფერწერული თუ გრაფიკული ნაწარმოებისათვის მაშინ, როცა იგი თვითმიზნურია, ე. ი. ფორმა-ფორმისთვისაა შინაარსისაგან დამოუკიდებლად, და აქ უკვე უდმეტყიაცა ლაპარაკი ფერწერის — გრაფიკად და გრაფიკის ფერწერად გადაქცევის შესახებ. მაგალითად, რადიშ თორდაის სურათის „ერთი ერთზე“ მიმართ ზოგი მხატვარი გამოთქვამს შენიშვნებს, თითქოს ეს ნაწარმოები არ შეიძლება ჩაითვალოს ფერწერულ ტილოდ (რა თქმა უნდა, სწორედ ამ „სპეციფიკის“ გაგებით). ამგვარ შეფასებაში ცხადია, იგულისხმება ის, რომ ტილოდ აღებულია წმინდა ფერწერულ ღირსებებს — მოცულობების, ფორმების ძერწვას ფერებით, პლასტიკის ნიუანსებს, პლენერ-



სა და ფაქტურას. მაგრამ წარმოვიდგინოთ ეს ტილო დაწერილი ამგვარ პრინციპში: ფერადოვანი გადასვლებით მდიდარი თოვლის ზედაპირი (თოვლსაც ხომ თავისი ელფერები აქვს!), ქალის სამოსი, ფაქტურულად ამოწერილი ათასნაირი ანარეკლებით პლენერზე! რას შემატებდა ეს ამ სურათის იდეას? ვფიქრობთ, მხოლოდ ანტიმხატვრულ და სულ სხვაგვარად წასაკითხს გახდოდა. მხატვარი სწორად მოიქცა, როცა ფერთა მკაცრი შერჩევის და პლასტიკური ფორმების ზოგადი ძერწვის გზა აირჩია, ყურადღება გამამხვილა სილუეტზე, მოძრაობაზე, სახის ფსიქოლოგიურ არსზე. დრამატული დაძაბულობით სავსე ამ მომენტის მართალი ასახვისათვის საჭირო იყო სწორედ ამ საშუალებების — მონუმენტური ფერწერისათვის სახასიათო საშუალებების გამოყენება და ფერწერული დაწვრიმალევისათვის თავისი არიდება.

ზოგადად, საერთოშია ნაძვრწი ფიგურები და სურათის სხვა დეტალები ნანა მესხიძის ტილოზე „მამა“. აქაც მხატვარი ძუნწად არჩევს ფერებს. მთელ კოლორისტულ გამას აგებს ლითონისფერზე, მოლურჯოზე და რუხზე, რითაც შესატყვის განწყობილებას ქმნის სურათის პერსონაჟებისათვის. ხერხები, რომელსაც მიმართავენ თორღა და მესხიძე ერთგვარად პირობითად შეზღუდულია, რამდენადაც ამ საერთო-

ზოგადში მხატვრებმა დამაჯერებლად, რეალური წარმოსახვის ფარგლებში უნდა გვიჩვენონ საგნის არსი. ეს კი ღრმა მხატვრულ ალღოს, ტაქტს და გემოვნებას მოითხოვს. რა თქმა უნდა, ბევრად ადვილია დაწერილი ფიგურები ნატურიდან შესატყვის გარემოცვაში, მთელი ფერწერული ცხოველყოფილობით, მაგრამ ფიგურები, რომლებიც სურათის პერსონაჟებად უნდა იქცნენ, კარგავენ ხელშესახებად რეალურს და იტოვებენ მხოლოდ ტიპურ საღებავებს, თუნდაც ეს ტიპური, ცალმხრივად თუ მივუდგებით, ერთგვარ პირობითობაშიც გამოვლინდეს. ხელოვნება კი თავისი დიდი ნაწილით პირობითობაა, მაგრამ პირობითობა არა თავისთავად, არამედ იმ აზრით, რომ იგი მხატვრულად მართალი სახეების შექმნის განმსაზღვრელია. როცა პირობითობა გამიზნულია არა კონკრეტული შინაარსის პლასტიკური შესატყვისობით გახსნისათვის, არამედ რაიმე განყენებული უჩვეულო ეფექტისათვის — ამ გზას უკვე ფორმალისმისაკენ მივყავართ.

გრაფიკული პრინციპები უხვადაა გამოყენებული ზურაბ ლეტიას სურათში „რუსთაველები“, რომელიც პასტელის საღებავებითაა ტილოზე დაწერილი. შეზღუდული ფერადოვნება, (ძირითადად შავი-ფოლადისფერი) ფორმათა მოდელირება უფრო სკულპტურულ, ვიდრე ფერწერულ პრინციპზე —



ყოველივე ეს სახასიათო მონუმენტური ფერწერისათვის და კერძოდ შესატყვისი ამ კონკრეტული ჩანაფიქრისათვის. სურათში, სადაც ჩვენს წინაშე პირველ პლანზე შრომის გმირები არიან გამოსახულნი, მთავარია არა ფერადოვანი ელვარება (ყოველ შემთხვევაში სურათი საერთოდ არ არის ასე გააზრებული), არამედ ადამიანები, რომლებმაც ეს ეს არის დატვირთეს ქარხნის კედლები და შინისავე მიიჭრინათ.

წარმოდგინოთ ეს ნაწარმოები, იგივე კომპოზიციური სქემა, დაწერილი ნატურასთან ახლოს მიმხატვებით, ან თუნდაც მხატვრის მიერ შეტანილი სხვადასხვა ფერადოვანი აქცენტებით ე. წ. ფერწერული აქცენტებით — სურათი იქცეოდეს და უნდა დაიხატოს თხრობითი ტილოდ, გარკვეული აზრის გარეშე. ამ შემთხვევაში მხატვრის განზრახვა ნათელია: დაგვიხატოს შრომის ადამიანები, ფოლადსა და რკინისთან შეხებულნი, ისინი, ვინც თვითონაც ფოლადითი მტკიცებით და ძლიერად არიან თავიანთ საქმიანობაში. სურათის სახვითი გააზრებაც სწორედ აქეთქენაა მიმართული.

მსაქმი პლასტიკური ხერხი, ცხადია, არ გამოადგებოდა არც შერაბილთა ტილოს „მწიური თბილისი“, არც რობერტ-სტურუას ტილოს „პირველი მაისი“ და ბევრ სხვას.

ყოველასათვის შესაძინებია, რომ ბოლო პერიოდში ქართულ მხატვრობაში განსაკუთრებით იგრძნობა მხატვართა სწრაფვა ფერის ემოციური ძალის მკაფიოებისაკენ. ბევრ შემთხვევაში ეს ტენდენცია კარგ ნაყოფს იღებს, ზოგ შემთხვევაში — თვითმიზნურია და ზურჯედ. ცალკეული მხატვრის შემოქმედებაში იგი ვლინდება დეკორატიულობისადმი მისწრაფებაში. ეს უკანასკნელი აღგებია განზოგადებულ ფერადოვანი ლაქებით მეტყველების გზას, თუმცა ყოველთვის როდი თვალსწინებენ თუ რამდენად ესაბება ეს ხერხი ჩანაფიქრს. მაგრამ საგალოლო ეს არის, რომ ამ გზას დაადგენ უკვე გამოძლიერი მხატვრები, გარკვეულ ჩანაფიქრებზელი შემოქმედებითი სახითა და ინტერესებით, მხატვრები, რომელთა ნამუშევარი ასე თუ ისე იყენიანრჩედა თვითმოფადობით. მათ მხრით თავისთავად უთუოდ მისაძლმებულთა ფერის მეტი გამომსახველობისკენ სწრაფვა, ეს ასეც უნდა იყოს, მაგრამ ამას არ უნდა ქონდეს, ასე ვთქვათ, თვითდინების სახითი, ე. ი. მხატვარი ხელოვნურად არ უნდა ირჩევდეს ისეთ გადაწყვეტას, რასაც ის შინაგანად არ გრძნობს — ამიტომაც არის, რომ გამოფენებზე არამც თუ ვეღარ ვცნობთ ამა თუ იმ ავტორის ტილოს, არამედ ბუნდ ბატკნის მხატვრის მიერ თავის წინაშე დასახულ ბუნდოვანი ამოცანის ასევე უსახური გადაწყვეტა, გარკვეულ პრეტენზიულობაში შინაგანი საცარიელე და უფერულობა. ტილოზე „სასილ მოქდაზნე“ რომ არ წავიგებია, რომ მისი ავტორია პალვა მაყაყაიანი, ნიჭიერი და გამოცდილი ფერმწერალი, ძნელი წარმოსადგენია ეს სურათი ამ მხატვრის ფუნჯს ეკუთვნოდეს. ასევე ძნელი წარმოსადგენია, რომ სურათის „მშობლიური ჩემო მიწავ“ ავტორად გვევლინება გრიგოლ ჩიჩინაშვილი. თავიანთ ამ ახალ ტილოებში ურეც ერთმა და ვერც მეორე მხატვარმა ვერ თქვა სათქმელი უკეთესად, ვიდრე ადრინდელ ნამუშევრებში, რომლებიც უფრო დამაჯერებლად და შინაგანი შემოქმედებითი მღელვარებით იყო შესრულებული.

ერთგვარ მანერულობაში გადაიხრდა დიმიტრი ხახუტა-

შვილის ფერწერული ინტერესებიც. მის ახალ ტილოებშიც ნებითა პლაკატური პირობითობითაა გადაწყვეტილი ფერადოვანი წყობა სურათისა. ნაწარმოების აღისფერი კოლორიტი სცილდება დამაჯერებლობის ყოველგვარ საზღვრებს და ზღაპრულ-ფანტასტიკურ ელფერს იძენს. სახასიათოს საზგასამანიც უნდა იყოს რაღაც ზღაგრი და ზომიერების გრძნობა, რათა სახერხულ და სინამდვილის პოეტურად ამაღლებული ხილვა გარკვეულ ფეხტურბობაში არ გადაიხარდოს.

აღნიშნული ტენდენციები, რომლებსაც ერთ შემთხვევაში ღრმა იდეურ-მხატვრული ფლვადობისაკენ მივყავართ, მეორე შემთხვევაში ზედაპირულობისა და უფერულობისაკენ, ცხადია, არის გრაფიკის ნიმუშებიც. პირველგვარ საზღვრებს და აღინიშნოს, რომ გრაფიკა ამ გამოფენაზე რიცხვობრივადაც და ხარისხობრივადაც უფრო უკეთესად უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი, თუკი გაითვალისწინებთ ჩვენს გრაფიკისების ადრინდელ გამოცდილებას და მათ დიდ შესაძლებლობებს. აქ არ მინაწილეობს ბევრი ჩვენი თვალსაჩინო გრაფიკოსი და აღბათ ესეც არის მიზეზი მისი ერთგვარი სიღარიბისა. სამაგიეროდ, შეადრებით ადრინდელ გამოფენებთან, უფრო ფართოდაა ექსპონირებული ნამუშევრები მასალაში — ლინოგრაფიურა, ავტოლითოგრაფია, მონოტიპია. გრაფიკოსთა ნამუშევრებში ჭარბობს კომპოზიციები, რომლებიც საბრძოლო ეპიზოდებს, ბატალიებს, ჩუენი მეომრების ცხოვრებას გამოსატას. ხშირად ეს ნამუშევრები გადაწყვეტილია საინტერესო გრაფიკული ხერხებით, გამომსახველი კომპოზიციური და ფერადოვანი წყობით, მაგრამ ფართო ქლვრადობის მხატვრული სახეზე მაინც ცოტა გვხვდება. უთუოდ მაღალი გემოვნებით და გრაფიკული მოტივის კარგი გააზრებითაა შესრულებული თითარქონიერების ესტამპები „სამშობლოს დამცველები“, სერგო კახიანიის, ვახტანგ გიორგობიანიის, ილია ტატეშვილის, ელენე შარლემანის, ასლან ციტაიშვილის ლინოგრაფიურები, რომლებშიც მხატვრები შთამბეჭდავად მოგვითხრობენ სამშობლოს დამცველებზე.

დიმიტრი ერისთავის ნათელი გრაფიკული სტილი, სასათების, სახეების თავისებურება და მკაფიობა, აზრის სიასლე კვლავ გამოჩნდა მხატვრის ახალ ნამუშევრებში, რომლებიც შერეულია მასალით — კალმით, ფანქრით, ტემპერითა და პასტელითაა შესრულებული. ავტორისათვის ჩვეული გონებაშვილობით საოცრად მართალი, ტიპიური და ადამიანური სინთოთი გამჭვავალი ცხოვრებისეული სურათებია შექმნილი ეს სურათები გარკვეულად უპრეტენზიოა, ვანრული ჩინაბატის სახითაა ატარებენ, მაგრამ შინაგანად შეიყავნდრმა აზრს, ქვეტექსტებს და სწორედ ამ წაკითხვის, შეცნობის ინტერესით ხილავნა მაყურებელს. ერთ-ერთი ფურცელი „აღლუბის რეპეტიცია ღამით“ მშვიდი და გათლიანებული ფერადოვანი შესამებებითაა გადაწყვეტილი. შორეულ პლანზე გამოსტულ ჯარისკაცთა ვერტიკალურ რიტმს კვეის უსარბაზარი რაკეტის პორიზონტალური სილუეტია. მორე პლანის ამ საერთო სიმკაცრეს უპირისპირდება მარცხნივ წინა პლანზე ხელიხელჩაკიებული გოგონასა და ბიჭუნას ფიგურები, რომლებიც თვალს ადევნებენ აღლუმს. ამ ფიგურებს არა მარტო ღირიკული ნოტა შეაქვს ნაწარმოებში, არამედ ისინი იკითხებიან როგორც მშობლიანობის, სიცოცხლის დაცვის აზრბ-



რივი სიმბოლო. ბავშვების სახით აქ ცხოვრება, სიცოცხლე იგულისხმება, რომელსაც ზრუნვა და მფარველობა სჭირდება იმით მხრიდან, ვისკენაც მიმართულია ბავშვების ყურადღება და ვისაც აკისრია ეს დიდი მისია. ერისთვის საერთოდ ახასიათებს შინაგანი ქვეტექსტებით აზრის საინტერესოდ მოწოდება, სახაითისა და ტიპურის მახვილი გრძობა. აი, თუნდაც მისი მეორე ნაწარმოები „დილა“, რომელზეც ერთი შეხედვით, არაფერი განსაკუთრებული არ ხდება. ქაჩიაში მწყობრად მიამბიჯებენ საბჭოთა არმიელები გზად შემხვედრი პატარა მისწავლე ბიჭუნები მაღალად და რაღაც ბავშვური მოწონებით, თავყანისცემის გრძობით აყოლებენ მათ მზერას. საოცრად ზუსტად და უბრალოდა გახსნილი ბუნება ამ პატარა ადამიანებისა, რომლებიც ასეა იწყებენ ცხოვრების გაცნობას და უკვე იციან მისი აზრი, აქვთ უნარი შეამჩნიონ საყურადღებო და მნიშვნელოვანი. კომპოზიციური წყობის ორიგინალობა და ბუნებრივობა, ნასატის სიმახვილე და ღრმა უშუალოდა ახასიათებს ერისთვის აქ ექსპონირებულ ყველა ნამუშევარს, მათ შორის თავისებურად ჩაფიქრებულ სურათს „მუშევრები“. ასეთი ჩვეულებრივად ჩვეულებრივი სცენის მოწმე, რაც აქ არის გამოხატული, ალბათ ყველა ჩვენგანი ყოფილა, მაგრამ როგორ საინტერესოდ, ახალი კუთხით მოგაწოდდა იგი მხატვარმა! მუშევრის მყუდრო დარბაზებში დღია, პატრვანი ფერების გარემოცვაში მკაფიო ლაქებად ჩაწერილა სამხედრო სამოსში გამოწყობილი არმიელების ფიგურები. საუკუნეები იმზირებიან გაფერმკრთალებული ფრესკებიდან. მათ მიმართ ინტერესსა და ყურადღებას გამოხატავს ფიგურები იმ ადამიანებისა, რომელთა ხელთაა ხალხის ყოველი ძვირფასი მონაპოვრის დაცვა. ერისთვის ახალი ნამუშევრები კვლავ მეტყველებენ მხატვრის ზრდაზე, შემოქმედის მხატვრული ინტერესების დიდ თვითმყოფადობაზე.

ფურად ლინორგავიურაში ორი გამომსახველი ნამუშევარი შექმნა გაიანე ქუთათელაძემ. ეს არის „შვიდიბა მსოფლიოს“ და „არ დაუვყვებთ ომს“. ამ ნამუშევრების მონუმენტურობა და სახოვანი ძალა მიღწეულია ნათელი კომპოზიციური ხერხებზე, პლანებისა და ფერითი აქცენტების დაპირისპირებით. პირველ ლინორგავიურაზე წინ მსვლილი პლანით, ზურგიან მკაფიურელისაკენ ახალგაზრდა ვაჟის ძლიერი ფიგურა იხატება — ომგადახდილი მეომარი მშვიდობიანი შრომიანაკენ იღვტის, იგი აღსავსეა ძალითა და ლამაზი სიცოცხლის წყურთებით. მხატვარი მხოლოდ თეთრითა და შავით წყვეტს უკანა პლანს — ფონს, დრუმბლებს და პარტი მისერიალ თვითმფრინავს. ფერითი ლაქებით ამახვილებს ყურადღებას მთავარზე — ეს არის ადამიანი და დაბლა, პირიზონტზე გაშლილი ყამირი, რომლისაკენაც იგი ისწრაფვის.

ახიევივ გრაფიკული ხერხის გამოყენებული მეორე ლინორგავიურაზე. თეთრითა და შავით პირობითად შესრულებულ ქალაქის პეიზაჟის ფონზე ჩვენს წინ ახალგაზრდა ქალია ბავშვით. მისი ფიგურა, რომელიც ასევე ფურადი ლაქითაა გამოყოფილი, გამოხატავს შეურყეველ ნების. ნამუშევრების ახალგაზრდა მხატვარმა კარგი გემოვნება და მხატვრული ალღო გამოავლინა.

ხელწერის თავისებურებით უთუოდ გამორჩევეთ ეთერ ანდრონიკაშვილის ავტორიოტორგავიებს: შესრულების ცოცხალი,

ცხოველხატული მანერა, ლაქებისა და ხაზების ფერწერული გადასვლები თავისებური ექსპრესიითა და დინამიკურობით ასებს მის ნამუშევრებს. აქ უარობდგენილი სამი ფურადი ავტორიოტორგავია ერთგვარი სუიტაა სამშობლოს დამცველების ცხოვრებაზე — მათ წვრთნაზე, დასვენებაზე და საქმიანობაზე. სხვადასხვაგვარი გააზრებით, მაგრამ თვითველ ცალკეულ შემთხვევაში მეტყველი კომპოზიციური წყობით, სხატრი ნახატით და კეთილშობილური კოლორიტით ანდრონიკაშვილის ეს ახალი ნამუშევრები საღურადღებო ქმინებებია ჩვენი მეომრების ცხოვრებაზე შექმნილ ნაწარმოებებს შორის.

ზემით შევებეთ ნატალია ფალავანდიშვილის ერთ-ერთ ნაწარმოებს. ფალავანდიშვილის ნამუშევრები ამ გამოფენაზე განსაკუთრებით ეროვნული კოლორიტით და სათუთი პოეტურობით გამოირჩევა. იგრძნობა, რომ მხატვარმა ახლოს განიცადა საქართველოს მითიანი კუთხის, კერძოდ ფშავის სოფლის თავისებური მომხიბვლელობა, მისთვის დამახასიათებელი მაღლი ცივაბო დაქანებებით, ვიწრო ბლიბეებით, ორლობებითა და აივნებიანი მყუდრო სახლებით. ძალზე ფაქიზად და სადად, თბილი და ცვი ტონების ერთმანეთში შეუმჩნეველი გადასვლით ამუშავებს იგი დიდ სიმბრწყებებს, მიწის რელიეფს და ამ ფონზე მკაფიო შავი შტრიხებით ამოხატავს სახლების კონტურებს, ქვის წყობას, ღობეებსა და ბილიბეებს; კომპოზიციას აგებს ისე, რომ მკაფიოდ გამოხატოს ამ კუთხისა და ხალხის სახაითი თვით პატარა დეტალებში. სწორედ ამ სახასიათო დეტალებით, ლაქონურობით და ქართული კოლორიტით ავტიზობლავს მხატვრის ეს ახალი ნამუშევრები, რომელზეც ავტორმა მხატვრული ხედვისა და ოსტატობის ახალ სიმაღლებებს მიაღწია.

დინარა ნოდისა ფურადი ლინორგავიურებიდან თვითველი თავისთავად საინტერესოა ლაქებისა და ხაზების რიტმით, კომპოზიციით. როგორც ყოველთვის, ნამუშევრებში იგრძნობა ავტორის სახვითი კულტურა, გემოვნება, მაგრამ თავისი სახეობრივი წყობით, ისინი თითქოს რამდენადმე მოგაკონენებს მხატვრის მიერ შესრულებულ ადრინდელ კომპოზიციებს.

ეთერ გრიგოლიას ესტამპებს გრაფიკული ენის ერთგვარი ბუნდოვანება ახასიათებს. მხატვარი თითქოს ისწრაფვის ხაზებისა და ლაქების უაღრესი სიცხადისაკენ, მაგრამ ამ სიცხადეში ზედმეტად ენთექვეტილი ცოცხალი ფორმა, ესტამპების მხატვრული ერთი ძნელი წასაკითხი ხდება შინაარსი. შედარებით სადად არის გადაწყვეტილი კომპოზიციას, რომელიც მეომრის და ქალიშვილის შეხვედრას გამოხატავს.

საკმაოდ ჩვეულებრივი, მოძველებული პლაკატური სიმბოლიკის ხერხითაა გადაწყვეტილი დიმიტრი მარაძის ლინორგავიურები „კოსმოსში გაფრენა“ და „გამარჯვება“. მხატვარმა ამჯერად ვერ მიაგნო დაზგური ფურცლის შესატყვის საინტერესო ჩანაფიქრს.

მხატვრის შესაძლებლობებს ვერ ავლენს ბურჟუერის მონოტაბეტიც. წინა გამოფენებზე მისი ნაწარმოებები უფრო მეტი სახიერებით გამოირჩეოდა პლასტიკური ფორმის ერთგვარი მოღუნება იგრძნობა მის ამ ნამუშევრებში.

ფურადი ლინორგავიურის სპეციფიკურ საშუალებებს გე-

დიმიტრი
ხახუტაშვილი
სეანეთი



მოვებით იყენებს თინა მაცაბერიძე, მაგრამ მებრძოლი ქალების ამ გამოსახულებებში იგი ვერ ავიდა დიდ სახეობრივ ელერადობამდე.

ეროვნული კოლორიტის და ფერადოვნების მხრივ სასიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებს ვერა ბელეცკაიას ჟანრული სურათები, გუაშით შესრულებული. მემორთა ცხოვრების ეპიზოდებს გადმოსცემს ჩვენი ნიჭიერი აქვარელისტის ვახტანგ ჯაფარიძის ნაწარმოებები, თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ნამუშევრები ეტიუდი-ჩანახატის ამოცანას ვერ ცილდება. უფერული გამოვიდა ისინი თვით კომპოზიციური — ფერადოვანი გააზრების მხრივაც.

პლაკატის სპეციფიკური ლაკონური საშუალებანი, სიმბოლიკა, ალვეორია უხვადა გამოყენებული ჩვენი პლაკატისტების შემოქმედებაში. მაგრამ ამ ნიმუშებიდან ცოტა გამოირჩევა იდიის ახლებური ტრაქტოვკით და გონებამსხვილური

მიგნებით. პლაკატებს შორის ორიგინალურად გამომსახველია ირაკლი გორდელაძის „ორ დიდ ომს ახსოვს რუსი მეომარი“, დავით დუნდას „მშვიდობა — ეს ბედნიერებაა“, ცოტენ მონიავას და გურამ ნინიძის „ჩვენი მომავალი საიმედო ხელშია“.

გამოფენის საყურადღებო ექსპონატებია დიმიტრი თავაძის ესკიზები ჩირსკის პეისისათვის „გამარჯვებულნი“ და დარასელის პეისისათვის „კიკვიძე“. თეატრის ამ გამოცდილი მხატვრის შემოქმედებისათვის საერთოდ დამახასიათებელი სცენური მონუმენტალიზმი, ყოველი დეტალისა და მხატვრული აქცენტის აზრობრივი დატვირთვა, შესრულების მაღალი კულტურა და ფაქიზი გემოვნება თვალსაჩინოდ ვლინდება აქ წარმოდგენილ თვითუფლ ცალკეულ ესკიზში, რომლებიც თავისთავად დასრულებულ მხატვრულ ნაწარმოებებს წარმოადგენენ.



ტკალიციის პეკლი

ნინო ქიქოძე



დამიანები უნდა დადიოდნენ თეატრში, რათა ის-
წავლონ გახდნენ ძლიერნი, დიდსულოვანი და თა-
ვისუფალნი, რათა განიხსჭვალონ ჭეშმარიტი კე-
თილშობილებისადმი პატივისცემით, ძალადობისადმი სი-
ძულვილით, საშობოლოსადმი სიყვარულითა და საკუთარი
უფლებების შეგნებით. — წერს გამოჩენილი იტალიელი
დრამატურგი ვიტორიო ალფიერი. და მართლაც, ხშირად
ჩავფიქრებულვართ სცენური გმირის ბედის ირგვლივ, ავლელ-
ვებულვართ მათი განცდებითა და გრძნობებით; ხშირად დაგ-
ვხმარებიან ისინი საკუთარი შეცდომების გასწორებაში, ჩა-

პეილი — გ. სალარაძე, ჯონ პროტორი — ე. მაღალაშვილი,
ელიზაბეტი — ზ. კვერენჩილაძე

უნერგიათ ჩვენთვის რწმენა და იმედი, სიყვარული და ნდობა.
ყოველივე ეს მოხდება მაშინ, თუ თეატრის კოლექტივი
შემოგვთავაზებს დასრულებულ, შევრულ სცენურ ნაწარმო-
ებს, რომელშიც ყველაფერი ერთ სიმაღლეზე და ერთ მილი-
ანობაში იქნება მოცემული. სამწუხაროდ, ასეთი სპექტაკლები
ყოველთვის როდი იქმნება, და ამიტომაც მათ გამოჩენას ყვე-
ლა სიხარულით ხვდება.

სწორედ ერთ-ერთი ასეთი სპექტაკლია მიმდინარე სეზონ-
ში არტურ მილერის „სიელემის პროცესი“ რუსთაველის თე-
ატრში.

1947 წელს ამერიკის სცენაზე დაიდგა ა. მილერის პირ-
ველი პიესა „ყველა — ჩემი ვაჟიშვილი“, რამაც მის ავტორს
ფართო პოპულარობა და პროგრესული დრამატურგის სახელი
მოუტანა. ბურჟუაზიული სინამდვილის საფუძვლიანად გა-
გება, წარმოსახული ხასიათების დრმა ფსიქოლოგია, დრამა-
ტურგიული ხერხების ორიგინალობა, მახვილი მხატვრული
ხედვა, ჰუმანური პათოსი, აქტუალობა, — აი, ის ძირითადი
მხარეები, რითაც განსხვავდება იგი სხვა თანამედროვე ამე-
რიკელი დრამატურგებისაგან.

რაც შეეხება მის „სეილემის პროცესს“, ავტორმა მას „მკაცრი გამოცდა“ უწოდა. პიესა ბევრ სცენაზე იდგმებოდა სხვადასხვა სახელწოდებით — „სეილემის ჯადოქრები“, „ნადირობა ალქაჯებზე“ და სხვ. მასში ავტორი აგვიწერს მე-17 საუკუნეში, ამერიკის მასაჩუსეტის შტატის ქალაქ სეილემში მომხდარ ამბავს. ამ ნაწარმოების შექმნისას ავტორს ისტორიული ამბავი კი არ აინტერესებდა, არამედ ის, თუ რა პეტს საერთო XVII და XX საუკუნეებს.

აბიგაილი — ი. გიგო-
შვილი, ჯონ პროქტორი — ე. მაღალაშვილი



XX საუკუნის მწერლებს, ფაშისზისა და მეორე მსოფლიო ომის თანამედროვეებს არ შეიძლება არ აღუვლებდეთ ფიქრი იმის შესახებ, თუ როგორ იქცეოდნენ ადამიანები წარსულში მკაცრი გამოცდის დროს, როგორ იცავდნენ თავიანთ რწმენას, როგორ ეწინააღმდეგებოდნენ მასობრივ ფსიქოზს. შემთხვევითი არ არის, რომ ერთსა და იმავე დროს ანუმი შექმნა დრამა ჟანა დარკვე, ბრეტქმა გალილიეზე, მილერმა კი „სეილემის პროცესზე“.

40-იანი წლების დასასრულს და 50-იანი წლების დასაწყისში გაძლიერებულმა რეაქციამ მილერი აიძულა გამოსხაურებოდა იმ მოვლენებს, რომლებიც აღუვლებდა ყველა პატიოსან ამერიკელს. ფსიქიკური რეალისტი შეუბრალებლად ამხელს იმას, თუ როგორ ეზრძვიან პატიოსნებას, როგორი ცნობიერებისა და გამცემლობის სფეროშია მოცული ყველაფერი, გვიჩვენებს თუ რა იმალება რელიგიური დოგმატიზმისა და დემოკრატიის მიღმა.

მილერი „სეილემის პროცესში“ ამხელს თანამედროვე ბურჟუაზიის ცხოვრებას, რომელიც ემყარება ძალადობასა და უსამართლობას, იცავს პატიოსანი ადამიანის მაღალ ღირსებასა და მოუწოდებს ყველას შეებრძოლოს გაბატონებულ უკანონობას.

დრამის ცენტრში დგას ჯონისა და ელიზაბედ პროქტორების ბედი. ჯონ პროქტორს არ შეუძლია შეურყიდეს მისი, რომ პატიოსან ხალხს მკრეხელობაში ცილს სწამებენ და სიკვდილით სჯიან. ის თამამად გამოდის მათ დასაცავად. ამით მართლმსაჯულებას ანრისხებს და მას აპატიმრებენ. ცილისწამება იარაღია სეილემის მკაცრ სელისუფალთ სელში, რომელნიც მხოლოდ იმით არიან დაინტერესებული, რომ პატიოსანი ხალხის დამატიმრებისა და სიკვდილით დასჯის შედეგად ისარგებლონ მათი მიწებით, ქონებითა და საზოგადოებრივი ინფრამარობით.

იმის აღიარება, რომ მას კავშირი ჰქონდა ეშმაკებთან, ჯონ პროქტორს სიკვდილისაგან იხსნიდა, მაგრამ ეს ღალატით იქნებოდა უდანაშაულოთა მიმართ. ჯონ პროქტორს ურჩევნია მოკვდეს, ვიდრე უღალატოს სინდისს. იგი თავის მსაჯულებზე ძლიერი აღმოჩნდება, გადალახავს სიკვდილის შიშს და სიმართლისა და პატიოსნების დასაცავად სახრჩობელაზე ადის აღსანიშნავია ისიც, რომ თვით დრამატურგი მალე აღმოჩნდა ჯონ პროქტორის მდგომარეობაში და მოიტაცა ისივრი, როგორც მისი გმირი. მილერი გამომსახვეული იყო კომისიაში, რომელიც იძიებდა ანტიამერიკულ მოღვაწეებს ჩინების მიხედვით, მაგრამ მანაც უარი განაცხადა მორჩილებაზე. დრამატურგის პირადი ცხოვრების ეს მაგალითი მისი, როგორც მხატვრისა და მოქალაქის ერთობლიობაზე მეტყველებს.

სახით. აქ ავტორს არ აკმაყოფილებს დრამატურგიული ფორმა და მიმართავს აღწერილობით რემარკებს, რომელშიც იძლევა გმირების დაწერილობით დახასიათებას და ხსნის ისტორიულ სიტუაციას. ფინალში კი ავტორი პირდაპირ მიმართავს მაყურებელს, მას შემოჰყავს „ხმა საუკუნის შემდეგ“, რომელშიც მოგვითხრობს იმ მოვლენების შესახებ, რითაც დამთავრდა სეილემის ტრაგედია. ეს ხერხი ავტორს დასჭირდა იმისათვის, რომ მაყურებელს ბოლომდე გაეგო პიესის იდეური ხაზი.

მილერის ნაწარმოები საქართველოში პირველად 1962 წელს დაიდგა გრიბოედოვის სახელობის თეატრში — „ხელი ხიდიდან“. შემდეგ იგივე პიესა გორში განხორციელდა 1963 წელს. მიმდინარე სეზონში კი რუსთაველის თეატრმა დადგა „სეილემის პროცესი“.

ადამიანებო, გიყვარდეთ ერთმანეთი, რაც შეიძლება მეტი გულისხმიერებითა და ყურადღებით მოეპყარით ერთმანეთის

„სეილემის პროცესი“ დაწერილია სახალხო ტრაგედიის



გრძნობებსა და მისწრაფებებს, ნუ ჩაიდენთ ავაცხოზასა და მანებლობას, ნუ გაიმსჭვალებით ერთმანეთისადმი შურითა და სიძულვილით, რადგან შურით შეპყრობილ ადამიანთა მოქმედებას ცუდი დასასრული მოსდევს, აი, ამას გვეუბნება რუსთაველის თეატრის ეს სპექტაკლი. ახალგაზრდა რეჟისორმა რობერტ სტურუამ სცადა აემტკვევლებინა გამოჩენილი დრამატურგის ერთ-ერთი პოპულარული პიესა და ცდა გამაჯრვებით დამთავრდა.

„სეილემის პროცესი“ რეჟისორ რ. სტურუას მეხუთე დამოუკიდებელი ნამუშევარია. პირველი — პრისტლის „საუნჯე“ გრიბოედოვის თეატრში დადგა, ყველა დანარჩენი კი რუსთაველის თეატრში განახორციელა (ბლაგევის „მესამე სურვილი“, „ვანშობის წინ“, სტურუა-ჭავთარაძის — „ბრალდება“ და მილერის — „სეილემის პროცესი“). მართალია, რეჟისორი მხოლოდ ახლა იწყებს დაძაბულ შემოქმედებით ცხოვრებას, მაგრამ, ის, რაც მან უკვე გააკეთა, საფუძველს გვაძლევს ვიფიქტორო მასზე, როგორც ნიჭიერ და მზარდ რეჟისორზე. სპექტაკლიდან სპექტაკლამდე იხვეწება, ყალიბდ-

დენფორტი — ს. ზაქარაიძე, მერი ჟორენი — მ. მაღალაშვილი



მა და იკვებება მისი რეჟისორული აღლი, ხელნაწი „ფიქსის“ ფაქტი, რომ რ. სტურუამ ხელი მოკიდა ამ რთული ნაწარმოების განხორციელებას, მოწმობს იმას, რომ იგი უფრო დიდი მოთხოვნით უდგება სცენური იერსახეების შექმნას, ვიდრე წინა სპექტაკლებში, უფრო მართალი, მულეჯარე, ემოციური და თეატრალურად ამაღლებულია მისი სპექტაკლი. იგი დაადგა რუსთაველის თეატრის გმირული პათოსით სავსე ნაყად და გამართლებულ გზას. „სეილემის პროცესი“ რ. სტურუას ყველაზე სრულყოფილი ნაწარმოებია, რაშიც მკაფიოდ ჩანს როგორც დრამატურგის ჩანაფიქრის სწორად გაგება, ისე თეატრის მეგვიდრეობისადმი შემოქმედებითად მიდგომა.

ახალგაზრდა მხატვრებმა ო. ჭოჩაკიძემ, ა. სლოინსკიმ და ი. ჩიკვიძემ საინტერესოდ გადაჭრეს სპექტაკლის დეკორაციული ჩანაფიქრი. სეილემის ტრაგედიასთან ახლოს მკაფიო ფერებით შესრულებული დეკორაციები. სპექტაკლის დაწყებამდე მთელ სცენაზე ფარდის მაგიერ დაშვებული დიდი, მძიმე რკინის კედელი შიშის, სიმძიმისა და სიცივის გრძობას იწყებს. მაგრამ შემდეგ კი ხან ყოფით და ხან პირობით სტილშია ნაჩვენები სამეულ პიერისისა და ჯონ პროტორის ოთახები, სასამართლო დარბაზი, ციხის კამერა და ფინალური სცენა. დეკორაციები ძირითადად გადაწყვეტილია ყვიციელ, თამბაქოსფერებში. (თუ არ მივიღებთ მხედველობაში ვერცხლისფერ ფარდას და ციხის თეთრ კედელს). კოსტუმებში ჭარბობს შავი ნაცრისფერი, მუქი წითელი, თეთრი ფერი. მხოლოდ აბიგაილის კოსტუმია ცეცხლისფერი წითელი. სპექტაკლში მეტწილად ნახევრად განათებულ და ბურუსით მოცულ სცენებს ვხვდებით, ნათელი სინათლის სხივი იშვიათად ანათებს სეილემის მცხოვრებლებს, რადგან თვით მათი ცხოვრება ნაღვლიანი და სევდიანია. მხატვრებმა სწორედ გაიცივს დრამატურგისა და რეჟისორის ჩანაფიქრი.

„მე ძვირად მიღირს ჩემი სახელი“ — ეპიგრაფად შევიძლია წაუვმძღვაროთ პროტორის ეს სიტყვები რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტის ედიშერ მაღალაშვილის მიერ გახსნილ სცენურ სახეს. დიახ, მისი გმირი პატიოსანი და ალალმართალი ადამიანია. იგი პროტესტს უცხადებს ბოროტებასა და უსამართლობას. მან კარგად იცის, რომ შურისძიება ანგრევს სეილემის მცხოვრებთა ოჯახებს, შურისძიება ავკიდრებს ტირანას, შურისძიება აძლიერებს ბოროტებას. მსახიობი მთელი სპექტაკლის მანძილზე გვაჯერებს უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლი პროტორის ძლიერებაში, მის კეთილშობილებაში და მაღალ ადამიანურ შეგნებაში. გავიხსენოთ რა ცივია მსახიობი აბიგაილთან შეხვედრისას (აბიგაილი მისი ყოფილი მოსამსახურე და საყვარელია), როგორ ცდილობს ჩამოიშოროს იგი და დაიიწყოს შეცდომებით სავსე წარსული. მაღალაშვილი დიდი შინაგანი გულწრფელობით გადმოგვცემს მეუღლისადმი პატივისცემასა და მზრუნველობას, იგი ნაწი მგობარია და ვაკაცური დამცველი მეუღლისა.

